

თამაზ გოლერძიშვილი

# 06სცენირებები



გამომცემლობა „კენტავრი“  
თბილისი  
2020

## ჯაყოს სიზნები

რომანი ორ ნაწილად

ინსცენირება თ. გოდერძიშვილისა და თ. ჩხეიძის

მოქმედი პირი:

თეიმურაზ წევისთავი – ნათავადარი

მარგო წევისთავი – ამისი ცოლი

ივანე – მღვდელყოფილი

ნინიკა

ილა – გლეხები

თედო

ჯაყო ჯივაშვილი – თეიმურაზის ნამოურავალი

ნინა – ჯაყოს მესამე ცოლი

ქეშელა – ჯაყოს სახლიკაცი

მღვდელი

მოქმედების დრო – 1924 წელი

## პირველი მოქმედება

### პირველი ეპიზოდი

თეიმურაზი — გამ... გამარჯობა, ჯაყო! სადა ხარ., კაცო! სად დაიკარგე? „და ნათავადარი თეიმურაზ წევისთავი ლიმილით და ხელგაშლით გადაეღობა თავის ნახიზნარსა და ნამოურავალს — ჯაყო ჯივაშვილს, რომელმაც ქუდი მარდად მოიშვლიპა და ბუმბულზე გაზრდილი და წიგნებით შეჭმული ნაბატონების ხელები თავის თათში ჩაბლუჯა“.

— საკ-ვირველია! საოც-ცარი!

„ერთ დროს ნათავადარ თეიმურაზ წევისთავს ლიახვის ნაპირზე, სოფელ ნაშინდარში პაპისეული ციხე-დარბაზი, ქვიტკირის მოზრდილი ბოსელი, მუხის ბეღელი, მარანი, ბალ-ვენახი, კაკლის დიდი ჭალა და სამიოდე ათასი დღიური სახნავი ჰქონდა.  
მასგვე ეკუთვნოდა ოთხი ათასი დღიური ხელუხლებელი ნაძვნარი, რომელიც მამამისმა ავთანდილმა ისე შეინახა, რომ ერთი ხეც არავის მოაჭრევინა; როცა ავთანდილი გარდაიცვალა და თავისი მეუღლეც თან წაიყოლა, ერთადერთმა მემკვიდრეშ ახალგაზრდა თეიმურაზ წევისთავმა დაიბარა ბავშობიდან მათთან შეხიზული მენახირე, ხოლო შემდგომ მოურავად დაწინაურებული ჯაყო ჯიგაშვილი და უთხრა: „ხალხს დალას ნუ გამოართმევ, თორემ ჩემი მტრები ისარგებლებენ და გაზეთში გამლანბდავენ, საქვეყნოდ თავს მომჭრიან. გაიგე, ტყეც და სახნავ-სათესიც ხალხს უნდა ეკუთვნოდეს“. ხელმარჯვემ, ჭკვიანმა, ყბედმა, ქვეშქეშა და ხერხიანმა ჯაყომ ძალიან კარგად იცოდა, რომ მის ბატონს დალისა და მაზანდისა არაფერი ესმოდა. ჯერ ბატონი დააჯერა, გლეხებმა ტყე ისე გაჩეხეს, ერთი ბუჩქიც არ დატოვესო და თეიმურაზმაც გადასწყვიტა, ამბის გასარკვევად ამ სიშორეს წასვლა ზედმეტიაო. მერე ჯაყომ ისიც დააჯერა წევისთავს, ვითომ ხელსაყრელი აღარ ყოფილიყო საბალახოდ ქცეული მამულის დევნა და ის მამული ორას თუმნად გაპყიდეს. ჯაყომ მეორე დღესვე ექვსი ათას მანეთად გაასაღა ხსენებული სანახები.

თეიმურაზი — ჭორების გამოძიებისათვის არა მცალია, მამაო ივანე. სასახლის ჭერის თავზე სამი ყუთი აღმოვაჩინე გუჯრებითა და ძველი წიგნებით სავსე. საქართველოს ისტორიის მეჩვიდმეტე

საუკუნე გადმოვატრიალე, ზოგან ბუნდოვან ამბებს შეუქი  
მოვფინე და ძველისძველი ქრონიკების უძველესი ვარიანტები  
აღმოვაჩინე.

**იფანე** – თავისი დროის აზრებით გაჟღენთილ ბატონს თავი დიდ  
მეცნიერად მოჰქონდა და დღე-ღამე წერა-კითხვაში ასწორებდა.  
მაგრამ ნაშინდრელი გლეხები მოსვენებას არ აძლევდნენ. (ფუანი,  
ხმური).

**თეიმურაზი** – რა იყო? რა მ... მოხდა, ნინიკა?

**ნინიკა** – ძალიან მოდგა გლეხებს, ბატონო, ჯაყო!

**თეიმურაზი** – ჯაყო, რამდენჯერ მითქვამს შენთვის, გლეხებს  
ლბილად მოექცეი მეთქი!

**ჯაყო** – ლბილად არა! ახლა იმ ტურტლიანებს გაკოცებ კიდეცა!

**თეიმურაზი** – ნუ აკოცებ, მაგრამ ნურც დაჩაგრავ.

**ჯაყო** – ვინა? მე დავჩაგრე გლეხები? მე კი არა, გლეხებმა დაჩაგრეს  
საწყალი ჯაყო, გლეხებმა! რამდენჯერ გცემს ჯაყოსა!  
რამდენჯერ გაგიტეხს თავი!

**თეიმურაზი** – ჯაყო, ყური დამიგდე: ათჯერ მითქვამს შენთვის, რომ  
მე პ...პპოლიტიკური მოლვაწე ვარ. მე და ჩემი მტრები ერთმანეთს  
ვებრძვით. ამას წინათ, შენი ოინები გაიგეს და გ...გაზეთში  
გამწერეს. რა პასუხი უნდა გაცეც ახლა ჩემ მტრებსა?

**ჯაყო** – რა პასუხი? ასე დასწერებდე: წადით თქვენი დედა და  
მამა-თქო!

**თეიმურაზი** – ჯაყო, ჯაყო! ნუ ხარ უზრდელი... აგეთი ლანძღვა არ  
შ... შეიძლება! გლეხობა არ გადამკიდო, ჯაყო, ჩემზე ცუდი არავის  
ათქმევნო. არ დაგავიწყდეს, რომ ჩემი პ...პპოლიტიკური მტრები  
საბაბს ეძებენ ჩემს დ...დასამცირებლად და დ...დდასამარხად...

**ჯაყო** – ბატონო, შენ უნდა წახვიდე აქედანა. მე და შენ ვერ  
მოვრიგდებით.

**იფანე** – თეიმურაზი დაფიქრდა და ტფილისში წამოვიდა. მას  
შემდეგ ნაშინდარის პატრონი – მუდამ მოუცლელი, ყოვლად  
გადაუდებელი საქვეყნო საქმით დატვირთული და პოლიტიკური  
გაზაფხულით გატაცებული – ორ-სამ წელიწადში ერთხელ  
ძლიერ და ავიდოდა მამა-პაპულ ნაშინდარში.

**ნინიკა** – აი, ასე ჩაუგარდა ნაშინდარი ჯაყო ჯივაშვილს.

**იფანე** – წინად რომ ჯაყო ჯივაშვილისთვის ვინაობა გეგითხათ,  
ბანჯგვლიან თათს მთისკენ გაიშვერდა და გიპასუხებდათ:

**ჯაყო** – იქაური ხარ, შენი წირიმე. საწყალი ჯაყო ობოლი ხარ,

არც მმა გყავს, არც მამა, არც დედა, არც ბიძა. ჯაყოს მარტო საწყალი ქეშელა გყავს, შენი წირიმე.

**ნინიკა** — მერმე კი, როცა გლეხობას მიწის ციებ-ცხელება აუტყდა, მთაში ჯაყოს მმებიც აღმოჩნდნენ და ბიძებიც. როცა დრო მოვიდა, მთებიდან მოულოდნელად კბილებამდე იარაღში ჩამსხდარი ხუთი ჯიგაშვილი ჩამოვარდა.

**ჯაყო** — ქეშელა! გიშა! ტელა! მეშთა და ბრინკა!

**ნინიკა** — ნელ-ნელა ჯაყო ნაშინდარის თავიც გახდა, მსაჯულიც, ვექილიცა და მზრუნველიც!

(ენერგიული ძუსიკა)

კიდევ გავიდა ხანი. გარდისფერი საქართველო დამუქდა და გაწილდა!

**ივანე** — თეიმურაზი სიხარულით ცას დაეწია: სიცოცხლის ნატვრა შეუსრულდა, სამოთხის კარი გაეღო. დღედაღამე ქედმოგლევილი დარბოლა, წითელ ბაირალს იქნევდა და ჩახლეჩილი ხმით კიოდა:

**თეიმურაზი** — თ...თავისუფლებას გ...გაუმარჯოს! ვაშაა! რევოლუციას გაუმარჯოს! ძ...ძირს მეფე და ძ...ძალადობა! მთელს ქვეყნაზე არავის არ ჰყოლია რუსისთანა ინტელიგენცია. ბედნიერი ხალხია, ბედნიერი!

**ჯაყო** — ჩენი ხალხი ძალიან რევოლცია ხალხია, შენი წირიმე. მუდამ მზადა ხარ, თოფი გესროლოთ მტრებსა და ყაჩაღებსა. ნაშინდარში ყველანი ძმები ხართ და ძმა-ბიწურად ცხოვრობთ. ჩვენ, შენი წირიმე, არაფერი არ გინდა ბოლშევიკებისაგან. მარტო ნალოგი ნუ წაიღებდე. წლეულს ძალიან ცუდი მოსავალი გქონდა. სულ დაგილპა იქაურობა, შენი წირიმე, სულ!

**ნინიკა** — ჯაყომ ნატვრა შეისრულა და იმ სახლსა და ბაღ-ვენახში არხეინად მოიკეცა. გულიც დამშვიდა, იარაღიდან ამოძგრა. დამკლავა და ისე დააძგერა თავისი ნათესავები იმ მიწებს, როგორც მოისისხლე მტერს.

**ჯაყო** — ღმერთმა გაკურთხოს ბალშენიკების მთავრობაი, რომელმაც საწყალ ჯაყოს სახლიც მოგცა, ბალიც, ვენახიცა და კარგი ზაკონიცა! ძირს ჟორდანია! აღარ გინდა ჯაყოს ბურჯუაძის მთავრობაი, აღარა! ღმერთმა გაცოცხლოს ჩვენი რევალცია! შეგეწიოს ჯაყოსა მისი მადლი და ანგელოზი!

**ივანე** — რადგან მამულის წყარო ჯერ თეიმურაზის ბედოვლათობით, მერმე კი რევოლუციის შემდეგ თანდათან დაშრა და ბოლოს სულაც მოისპო, თეიმურაზიც, მისი ოჯახიც და საქმეც

ზეთგამოლეულ ჭრაქივით დაიღინენ და დადნენ.

თეიმურაზმა ჯერ მარგოს თვალმარგალიტი გაჰყიდა. და ბოლოს თავის მამა-პაპეულ განძეულობასაც დაადგა თვალი. ის განძეულობა, რკინით ნაჭედ უზარმაზარ სკივრში ჩაწყობილი, ნაშინდარში ინახებოდა. რევოლუციის აბობოქრებაში თეიმურაზმა ის სკივრი მოითხოვა“.

**ჯაყო** — მოგაალი, სენი წირიმე, მოგაალი! ჯაყო საცხოვრებელი აღარა ხარ! მოგკაალი, სენი წირიმე მე, მოგკაალი!

**თეიმურაზი** — რა იყო, ჯაყო, რა მოხდა?

**ჯაყო** — დაიღუპე ჯაყოი, მოკვდი ჯაყო! ყაჩაღებმა სკივრი მოგტაცეს ჯაყოსა!!

**თეიმურაზი** — კარგი, ჯაყო, გგ...გაჩუმდი, მე უარესი მეგონა.

**მარგო** — ამაზე უარესი რაღა უნდა ყოფილიყო, თემურ! ის განძეულობა ათ წელიწადს მაინც გვაცხოვრებდა.

**თეიმურაზი** — დამშვიდდი, ჯაყო. მე მეგონა, ცოლი ან შვილი მოგიკვდა მეთქი.

**ჯაყო** — შვილის სიკვდილი გერჩივნა ჯაყოსა! ნეტა ცოლ-შვილი დაგხოცოდა და ასეთი სირცხვილი არ გეწამა! ღმერთმანი, მართალს ამბობს ჯაყოი. ვაი, ჩემი ბრალი! ვაი, საწყალი ჯაყო!

**ივანე** — „...დრო კვლავ მიდიოდა. დაკარგულ განძეულობის ხსოვნაც მინელდა. ლუკმა-პურის შოვნა კი დღითი დღე ძნელდებოდა.

თეიმურაძმა რომ მარგოს სამკაული და თავიანთი ნიშნობის ბეჭედიც კი გასცვალა ხმელა პურზე, ოჯახის ნგრევას მიჰყო ხელი და რიგ-რიგობით გაიტანა ბაზარზე ხალიჩები, როიალი, რბილი ავეჯი, თეთრეული, ფაიფური და ბროლის ჭურჭელი. ხოლო როცა თეიმურაზს ცხოვრებამ მიწამდე მოუღუნა კისერი და ულმობლად დაკეცა იგი, მოდრეკილმა მწიგნობარმა თავის წიგნებსაც წავლო ხელი; იმ წიგნებს, რომელნიც თეიმურაზისათვის ლვიძლ შვილებს ედარებოდნენ. თეიმურაზმა თავის დროზე სამსახურიც სცადა, მაგრამ მაღე იგრძნო და გაიგო, რომ სხვის სკაზე იყო ჩამომჯდარი. ახალმა ქვეყანამ და თეიმურაზმა ერთმანეთისა ვერაფერი გაიგეს. მხოლოდ მაშინ იგრძნო და გაიგო თეიმურაზმა, რომ იგი კარგახანია შეუდგა თავის გოლგოთას, რომლის მწვერვალი, შავის ნისლით დაბურული, ჯერ არც კი მოსჩანდა“.

(ენერგიული მუსიკა)

**თეიმურაზი** – გ...გამარჯობა, ჯაყო! სადა ხარ, კაცო! სად დაიკარგე?

**ივანე** – და ნათავადარი „თეიმურაზ ხევისთავი ღიმილით და ხელგაშლილი გადაეღობა თავის ნახიზნარსა და ნამოურავალს – ჯაყო ჯივაშვილს, რომელმაც ქედი მარდად მოიშვლიპა და ბუმბულზე გაზრდილი და წიგნებით შეჭმული ნაბატონევის ხელები თავის თათში ჩაიძლუკა“.

### მეორე ეპიზოდი

**თეიმურაზის დარიბულად** მორთული, ფარდით ორად გაყოფილი ბინა. შემოდიან თეიმურაზი და ჯაყო.

**თეიმურაზი** – მარგუში, მარგო, იც...ცანი ეს კაცი?

**მარგო** – (ვაძლიას ფარდის გადაჯიდან) მაგონდება... ვიცნობ... მაგრამ...

**თეიმურაზი** – ჯაყოა, მარგო, ჩვენი ჯაყო, ჩვენი ნათლიმამა; აღარ გახსოვს?

**მარგო** – ღმერთო ჩემო!

**ჯაყო** – ქნეინა ნათლიას გაზლავარ!

**მარგო** – სადა ხარ, ჯაყო? რას აკეთებ? სულ დაგვივიწყე, აღარა სჩანსარ.

**ჯაყო** – მუშაობ, შენი წირიმე, მუშაობ, მაშ! ბევრი საქმე გაქვს ჯაყოსა, ძალიან ბევრი. სოფელს პატრონობა გინდა. სამი დღეა ქალაქში დადისარ, ჯაყო მთავრობასთან იყავი, მაშა! ვერ მოიცალე, შენი წირიმე, თქვენთვისა.

**თეიმურაზი** – მთავრობასთან რა გინდოდა, ჯაყო?

**ჯაყო** – ახლა სოფელის „პივერებია“ ხარ ჯაყო, მაშა! სოფელს სკოლაც გინდა, ჩითიც, ნავთიც და მარილიცა. ღარიბი სოფელია ნაშინდარი, ამიტომ ჯაყომ თხოვე მთავრობასა, რომ ნალოგი არ წაიღო, თორებ სოფელს მოსავალი არა გქონდა. წრეულს ნაშინდარს სეტყვაც მოგივიდა, დიდი წვიმაც და გოლგაც. სულ გაგიფუწა მოსავალი, სულ!

**მარგო** – მეტისმეტად გამოცვლილხარ, ჯაყო, გასუქებულხარ.

**ჯაყო** – მაშ, მაშა! ძალიან გაიზარდე ჯაყო, შენი წირიმე, ძალიან გაიზარდე.

**მარგო** — აღბათ, კეთილი ცხოვრება, გექნება, იმიტომ გასუქებულხარ.

**ჯაყო** — რატომ არ გექნება ჯაყოსა კეთილი ცხოვრება, შენი წირიძე. ჯაყო ახლა კარგადა ხარ, ძალიან კარგადა ხარ. იმიტომ გასუქდი. ახლა ჯაყოს ბევრი გაქვს პურიც, ლუმაც, კარაქიც, რძეც და მაწონიცა. ჯაყოც მთელი დღე სწაბ და სწაბ, სწაბ და სწამ! სუქდები და სუქდები. სუქდები და სუქდები. მაშა!

**თეიმურაზი** — (ძილ-ბურანიდან) მიირთვი, ინგე, ჩემო ჯაყო, ღვინო კიდევა მაქეს.

**ჯაყო** — ჩემი კნიაზი ისე არ გაღარიბდება, ჯაყოს ვერ დაუხვდებოდე.

**თეიმურაზი** — არც ისე გავჭოტრებულვარ, რომ ჩემს ნათლულს ვერ დავალევინო... ოლონდ, ერთი თხოვნა მაქვს... კნიაზს ნუღარ მებაზი, თორემ ხომ იცი... ახლა სხვა დროა... ვინ იცის, რას იტყვიან.

**ჯაყო** — ფეხებზე გპიდია ჯაყოს ყველანი! რაც გინდა, ის იტყოდეს! შენ ჯაყოს ნათლია კნიაზი ხარ, მარგოც ნათლია კნეინა ხარ. დანარჩენი ჯაყოს ფეხებზე გპიდია! არავისაც არ გეშინია ჯაყოსა, მაშ, მაშა! ეხლაც დიდი საქმე გაგიკეთე ნაშინდარსა. მთავრობა მალე სკოლას გაგიხსნის იქა. წიწყინა ნინიკა ბრაზით გასკდები.

**თეიმურაზი** — მართლა, როგორ არის ჩემი ნათლული?

**ჯაყო** — ვინა? ნინიკა? კარგი ნათლულიცა გყოლია, ღმერთმანი, აგიკლო, ჯაყოს მოსვენებას აღარ გაძლევ. სულ იმასა ყვირი, თეიმურაზის სახლი ჯაყოს უნდა ჩამოგართვა და სკოლა და კაპრატივი უნდა გაგიხსნაო.

**მარგო** — ნინიკა?

**თეიმურაზი** — მარგო, აღარ გახსოვს ნინიკა?

**მარგო** — რომელი ნინიკა?

**თეიმურაზი** — ჩემი ნათლული, გგ...გაღმა სკოლაში რომ ვზრდიდი.

**მარგო** — არა, არ მახსოვს.

**თეიმურაზი** — ჩჩ...ჩემი ნათლული, მარგო, ჩემი ნათლული. ჩვენ რომ ჯჯ...ჯვარი დავიწერეთ, ორჯერ თუ სამჯერ მოვიდა ჩვენთან.

**მარგო** — არ მახსოვს.

**ჯაყო** — არც გინდა გახსოვდე იმისთანა აბეზარი ბიჭი. ჯაყო უნდა გადაგასახლო და ჩემ დვარეცში კაპრატივი გახსნა? ქჩორტუ, ქჩორტუ კაპრატივი! არ გინდა ჯაყოს კაპრატივი, არა მეთქი!

(მიმოიხედა. თითქოს ახლა შენიშნაო სიღარიბე) ძალიან, ძალიან  
გაღარიბდი, შენი წირიმე...

**თეიმურაზი** — ჰო, ჯაყო, გავღარიბდი, ძალიან გავღარიბდი.  
(მარგოს შეკურებს) ოჯახი დადნა, ჯ...ჯაყოჯან! ესაც დნება  
და იღევა...

**ჯაყო** — კნინა-ჯნ, ამ ოხერ ქალაქში რას აკეთებდე? მოდი, ჩემთან  
სტუმრად წამოხვილოდე? ღმერთმანი, ჯაყო ისე შეინახავდა  
ნათლიერსა, როგორც ბატქნებსა, მაშ!

**თეიმურაზი** — მ...მადლობელი ვარ... მმ...მოვიფიქრებ.

**ჯაყო** — რაღა ფიქრი გინდოდეს, მაგ ფიქრებმა გაგაფუწე, და  
დაგაბერე. (მავიდაზე წამოწვა)

**თეიმურაზი** — რრ...რას იტყვი, მარგო?

**მარგო** — ჩემთვის სულერთია, როგორც გერჩიეროს, ისე გადასწყვიტე.  
(ვაპრა ზებული გადის ფარდის იქთ. თეიმურაზი ვერ ითქნეს და  
გაყვება)

**თეიმურაზი** — ქალაქში აღარ გვეცხოვება. ყყ...ყელამდე ვალებში  
ვართ ჩაფლულინი. ლლ... ლუკმა პურსაც ვეღარ ვშოულობ.  
მართალია, თითქოს სამადლოდ მივდივართ ჯაყოსთან, მმ...  
მაგრამ ეს არაფერია, ბოლოს და ბოლოს ჯაყომ ჩემი ქონება  
მიითვისა, ზოგი ქურდობით და ზოგი ეშმაკობით. ესეც არ იყოს,  
სახლში ჯაყოს მუშა სჭირდება, შენ ოჯახში დატრიალდები,  
მეც დავეხმარები, ან სოფლის კანცელარიაში გავაკეთებ რამეს.  
(მარგოს ჯომება). მარგო, ნუ დამცინი, ვინ იცის, როგორ  
მოეწყოს იმ სოფელში ჩვენი ცხოვრება. იქნებ, სწორედ იქ მოხდეს  
გარდატეხა. იქ გადაიშალოს ჩვენი ცხოვრების ისტორიის ახალი  
თაბაზი. ადამიანი ზოგჯერ იქ იპოვის ბედს, სადაც არ ემებს.

**მარგო** — შეიძლება...

**თეიმურაზი** — მაშ, თანახმა ხარ?

**მარგო** — არც თანახმა ვარ, არც უარს ვამბობ, შენვე გადასჭერი.  
მე გემორჩილები, მაგრამ თუ შენი საქმე უარესად წავიდეს, მე  
ნუდარაფერს დამაბრალებ.

**თეიმურაზი** — ამაზე უარესი რაღა იქნება. მეტი გზა არ არის, უნდა  
წავიდეთ.

**მარგო** — ღმერთო დიდებულო! ისევე ჩვენივე ნასახლარში, ჩვენივე  
ნამოჯავირევს უნდა შევექმდლოთ და ჯაყოს სამადლოთ უნდა  
გავიზადოთ თავი?!

**თეიმურაზი** – ნუ იგესლები, მარგო. ამ ქვეყნად ყოველივე წარმავალია.

წყალი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დ....დარჩებიანო.

**მარგო** – ჯერ-ჯერობით შენმა გადმოგდებულმა წყალმა ჩვენც

წაგვიღო. ხოლო რომელი ქვიშანი დარჩებიან, ამის ნახვას ვერ  
კი მოვესწრებით.

**თეიმურაზი** – მოვესწრებით. ნუ ჩქარო.

**მარგო** – რამდენი წელიწადია, სულ მაგას გაიძახი. ჯერ-ჯერობით  
კი იმასაც მოვესწარი, რომ ჯაყოს სამადლოდ გამიხადე თავი.

**თეიმურაზი** – მერე, მე რა ბრალი მედება?

**მარგო** – ათასი სხვა თუ შეეგება ახალ ცხოვრებას, რატომ შენ ვერ  
მოიდრიკე ეგ უხეში კისერი.

**თეიმურაზი** – არრა-სო-დეს!

**მარგო** – მაშ ჯაყოს ხიზნობა გირჩევია?

**თეიმურაზი** – მირჩევნია, რაც მოსავალია – მოვიდეს!

**მარგო** – მე? მე რაღას მიპირებ?

**თეიმურაზი** – საცა მე ვიწნები, შენც იქ უნდა იყო.

**მარგო** – შენ კიდევ შეგრჩა რაღაც რწმენა, მაგრამ მე რომ  
აღარაფერი მჯერა.

**თეიმურაზი** – მაინც უნდა მომყვე, სამშვიდობოს გ...გაგიყვან.

**მარგო** – არა მჯერა, თეიმურ, არა მჯერა შენი სამშვიდობო. გული  
ცუდს მეუბნება. ნუ მისდევ ჯაყოს, თავი დაანებე, თორემ იქნება  
ინარ. მერე რას აპირებ?

**თეიმურაზი** – ქვეყნა დიდია, გზას გ...გავიკაფავ.

**მარგო** – თუ ქალაქში ვერ გაიკაფე გზა, სოფელში რა უნდა  
გააკორ? შენ ბრძოლისათვის და თავისუფალ შემოქმედებისათვის  
არა ხარ შექმნილი, თეიმურაზ!

**თეიმურაზი** – რატომ არა? განა აქამდე დამოუკიდებელი არ  
ვიყავი?

**მარგო** – დამოუკიდებლობას ნაშინდარი გაძლევდა. ისიც ვერ  
გამოიყენე. მამაპაპეული მამულიც ვერ შეინახე და გაჰყიდე.  
იმოდენა განძუულობაც ისე მოგპარა ჯაყომ, რომ კვალსაც ვერ  
მიაგწი.

**თეიმურაზი** – ჯაყოს ქურდობას ნუ აბრალებ, მარგო, საბუთი არა  
გაქცს.

**მარგო** – საბუთიც რომ გქონოდა, ხელიდან გაგივარდებოდა.

**თეიმურაზი** – მაშ რას მირჩევ?

**მარგო** – გამოაცხადე ლოიალობა და ერთგულად იმსახურე.

თეიმურაზი — როგორ მიბედავ, მარგო?

მარგო — გიბედავ, რადგან შენი ერთგული მეუღლე და მეგობარი ვარ.

თეიმურაზი — მაშ, პ...პოლიტიკურად თავი უნდა მოვიკლა, არა?

მარგო — თუნდ ეგრეც იყოს, რა მოგცა პოლიტიკამ?

თეიმურაზი — ჯერ არ...რაფერი, მაგრამ...

მარგო — არც შემდეგში მოგცემს.

თეიმურაზი — შეიძლება, მაგრამ სახელი?

მარგო — ვისოთვის, ან რისთვის გინდა კერპი კაცის სახელი!

თეიმურაზი — ორგულობა და ორპირობა არ შ...შემიძლია, ეს შენც კარგად იცო.

მარგო — არც გაჩუმება შეგიძლია?

თეიმურაზი — ბევრჯერ ვცადე, მაგრამ ვერ მოვახერხე.

მარგო — თეიმურ, ქვეყანამ იცის, რომ უგნებელი კაცი ხარ, რომ ჩიტსაც ვერ დააფრთხობა.

თეიმურაზი — მაშ რად ეშინიათ ჩემი?

მარგო — შენი არავის არ ეშინია.

თეიმურაზი — მაშ რად დამითხოვეს ათჯერ სამსახურიდან?

მარგო — იმიტომ, რომ ყბედი და ენაჭარტალა ხარ... კიდევ გირჩევ, გამოაცხადე ერთგულება, პირზე ხელი დაიდე და დადუმდი.

თეიმურაზი — არ შ...შემიძლია.

მარგო — მე ჩემი ვთქვი, ახლა შენ იცი. თუ ჩვენი საქმე კარგად ვერ წავიდეს, ისევ შენს თავს დააბრალე. (ასუზა. სიჩუმეს ფარდის უკან მავიდაზევე თავჩამორდებული ჯაყოს გოლიათური ხვრინვა არღვევს.)

მარგო — ერთი კვირის შემდეგ მარგომ თეიმურაზისაგან წერილი მიიღო: აქ სრული წესრიგი და მშვიდობიანობა ყოფილა. ყველანი თავაზიანად და პატივით დამიხვდნენ და შენც გელიან. რაც ზედმეტი ნივთი დაგვრჩა, წიგნების გარდა, ახლავე გაყიდე და წამოდი, ხოლო წამოსვლის დღე წინდაწინვე შემატყობინე, გკოცნი შენი თეიმურაზი.

## მესამე ეპიზოდი

პროგუნციული სახვერის კუთხე  
ძარვო, ჯაყო

ჯაყო — მშვიდობა შენი მობრძანება, კნეინა მარგო! გამარჯვება შენი!  
როგორ გიკითხებოდეს ჯაყომა? როგორ ბრძანდებოდე?

მარგო — გამარჯვება, ჯაყო! გენაცვა, კნეინას ნუღარ მეძახი. გაიგე,  
რომ ქნეინობა აღარ არის, გადავარდა.

ჯაყო — არა, შენი წირიმე, სხვა კნეინები და კნიაზები გადავარდი,  
თორემა ჩემი ნათლია ჯაყოსთვის ისევ კნეინა ვიქები, მაშ, მაშა.

მარგო — თეიმურაზი სადღაა, არ ჩამოვდა?

ჯაყო — თეიმურაზი არ ჩამოხვედი, შენი წირიმე. თეიმურაზი სახლში  
დარჩი და შენი თავი ჯაყოს მიანდე... ისე წაიყვანდე ჯაყო ჩემ  
კნეინასა, რომ ზედ წიაც არ შეგაჯდებოდე. (ძარვოს ძარვ  
ჩამოართმევს) წამობრძანდე, შენი წირიმე, აქეთ მობრძანდე.

მარგო — „ჩარდახიან განიერ ურემზე ლოგინია გაშლილი“. (ზუსიკა)  
ჯაყო, ააჩქარე თორემ საღამომდე ვერ აგალთ.

ჯაყო — შენ ნუ გეშინოდეს, კნეინაჯან, ახვალთ, ისე ახვალთ, რომ  
მზე მაღლა იქნებოდე, მაშ! ხარებიც ცოდო ხარ, შენი წირიმე.  
იმ სიშორეზე მოგიყვანე, დაიღალე საწყალი ხარები, მაგრამ შენ  
არხეინად იქნებოდე. თორემა ჯაყო თუნდ ხელით წაგიყვანდე,  
მაშ! (პუზა) (იცინის) ეეჲ, კნეინაჯან! თეიმურაზმა შენი ყადრი  
არ ვიცის, თორემა...

მარგო — რატომ, ჯაყო? რაში მეტყობა?

ჯაყო — იმაში, რომ გამხდარხარ, გენაცვალოს ჯაყო, ძალიან  
გამხდარხარ!

მარგო — (გადაუკისეს) რას ამბობ, ჯაყო? მე რომ გამხდარი ვიყო,  
თეიმურაზისა რა ბრალია?

ჯაყო — ვიცის ჯაყომ, ვიცის? კარგი ვაჟეაცის ხელში დედაკაცი  
გასუქდები, შენ კი... შენისთანა ქალი სხვანაირი მოვლა უნდა.

მარგო — რას ამბობ, ჯაყო?

ჯაყო — მართალს ამბობ ჯაყოი, მაშა, მართალსა! შენ კარგი წამა  
და სმა არა გქონდეს, იმიტომ გახდებოდე აგრე. არც თეიმურაზი  
ხარ ვაჟეაცი, ღონიერი არა ხარ ჩემი საწყალი კნიაზი. შენი  
სახლიც არ ვარგებოდეს. შენ სულ ფარცა და ხავერდი გეცმოდეს,  
მაშა!

**მარგო** — რა მასხარა ყოფილხარ, ჯაყო!

**ჯაყო** — ყელზე და ხელებზე სულ ოქრო-ვერცხლის ბეწდები უნდა გექნებოდეს, მაშ! შენი ქმარი ისეთი ღონიერი უნდა ვიქნებოდე, როგორიც ჯაყო ხარ, მაშ, მაშ!

**მარგო** — რა მასხარა ყოფილხარ, ჯაყო! ღმერთმა ხელი მოგიძართოს, ძლიერს არ გმაცინე!

**ჯაყო** — მაშ, ხომ გაგაცინებდე ჯაყომა! მაშა, აგრე იცის ჯაყომა!

**მარგო** — ჯაყო, მაშ შენი ცოლი რომ ვყოფილიყავი...

**ჯაყო** — ჩემი ცოლი?! შენ რომ ჯაყოს ცოლი იქნებოდე?!

**მარგო** — ჰო, მე რომ შენი ცოლი ვყოფილიყავი, როგორ შემინახავდი? აბა მიამბე, ჯაყო!

**ჯაყო** — ჰაი დედასა! შენ რომ ჩემი ცოლი იქნებოდე?... ჯაყოი სულ გაწმევდე ხინკალი, რძე და მაწონი. კიდევ კარაქი და ნაღები, დუმა და ერბოცა. მაშ, მაშა! მწვადიც გექნებოდა. კატლეტიცა, ჩიხირთმაცა... ჩიტის რძე რომ მოგინდებოდეს, ისიც გიშვივნიდე!

**მარგო** — ჩიტის რძეც? ღმერთო ჩემო, ეს რა კარგი ბატონი მეყოლებოდა! მაგრამ, ჯაყო, მე ფრანგულ საჭმელს ვარ მიჩვეული. „პოვარის“ დაქირავება დაგჭირდებოდა.

**ჯაყო** — პოვარისა? სამი პოვარი დაგიწერდე, სამი! მაშა! ჯაყოი ხავერდის ქართული კაბა ჩაგაცმევდე. მაგ წელზე ვერცხლის ქამარი შემოგარტყამდე...

**მარგო** — ვერცხლის ქამარი! ნეტა შენი ცოლი ვყოფილიყავი, ჯაყო! (იცინის)

**ჯაყო** — რას იცინებოდე? შენ რომ მართლა ჯაყოს ცოლი იქნებოდე, შენც გაიხარებდე და ჯაყოცა. როგორც ნამდვილი კნეინა, ისე შეგინახავდე, მაშა! (პაუზა) მეც შენი კნიაზი გახდებოდე... ხუთი მოჯამაგირე დაგიყენებდე... ერთი კარგი ფაიტონიც გიყიდებოდე...

**მარგო** — არ მინდა ფაეტონი... მე ავტომობილი მომწონს.

**ჯაყო** — ატამაბილი იყოს რა, ეგეც გიყიდებოდე ჯაყოი, მაშა!

**მარგო** — ჯაყო, სად მოვედით?

**ჯაყო** — აქეთა სჯობდე, შენი წირიმე, აქეთ უფრო მოკლე გზა ვიქნებოდე.

**მარგო** — რა ვქნა, ჩვენი გზა პირდაპირ უნდა მიდიოდეს. შენ კი მარცხნივ მიუხვიე.

**ჯაყო** — რა გიშავს რა, შენი წირიმე მე, შენ არხეინად იქნებოდე, მეც ახლავე მოხვიდოდე. (პაუზა) გზა აგერეოდეს, ჯაყოსა, ნათლიაჯან.

**მარგო** — ახლა სადა ვართ, ჯაყო?

**ჯაყო** — ეშმაქმა ნუ ვიცის ხარების თავი! წალაში ხარ. ლიახვის ნაპირზე ხარ, შენი წირიმე.

**მარგო** — რა ვქნა, აქა ხარ გაზრდილი და ამ მინდორში გზა როგორ აგებნა?!?

**ჯაყო** — იმიტომა, რომ მე და შენ ლაპარაკობდი.

**მარგო** — რას შვრები, ჯაყო, ხარები უნდა გამოუშვა?

**ჯაყო** — მაშ! ახლა სადღა წახვიდოდე? ბეჭლა, შენი წირიმე, არც გზა ვიცის ჯაყომა.

**მარგო** — მას რა ვქნათ?

**ჯაყო** — ნუ გეშინოდეს, შენი წირიმე. ჯაყოს თოფიცა გაქვს, მაუზერიც, ხანჯალიც; ვინ გაბედავ რამესა?! ჯაყო აქ არ იქნებოდეს! დედას გიტირებ ყაჩაღსა ჯაყო, დედასა! აბა, ვინც ვაჟკაცია, ახლო მოხვიდოდე. აბა, მოხვიდოდე! (პაუზა) აგერ ჯაყოს ვარსკვლავი, ვენაცვალე იმის მაღლსა! გვერდითაც ნათლია მარგოს ვარსკვლავი მოგდევს, გენაცვალე იმასაცა!

**მარგო** — ძილი ნებისა, ჯაყო!

**ჯაყო** — ღამე მშვიდობისა, კნეინაჯან. (ჩანგრძლივი პაუზა) დაიძინე, მარგოჯან, გენაცვალოს ჯაყოი?

**მარგო** — არა, ჯაყო, არ მეძინება. (ჯაყო ურუმზე აძვრება) ჯაყო, რა გინდა?

**ჯაყო** — სუ, შენი წირიმე, სუ!.. არ დაიყვირებდე...

**მარგო** — ჯაყო, სად მოხვალ?

**ჯაყო** — ცოტა იქით, მიიწეოდე, მარგოჯან... საწყალ ჯაყოს შეგცივდა... ცოტა გაგათბობდე ჯაყოსა, გენაცვალოს იმის თავი.

**მარგო** — მაშ, მე გადავალ ურმიდან. (ჯაყო არ უშეებს) მხეცო, რას შვრები?! პირუტყვო!.. ვერაგო!.. ავაზაკო!..

**ჯაყო** — კარგი, გენაცვალოს ჯაყო, კარგი!.. აბა, რათ გინდებოდეს ჩხუბი! რა კნეინას საქმე ხარ ჩხუბი!.. აბა, აქ ვინ მოგეშველებოდეს! სუ, შენი წირი მე, სუ! გაჩუმდებოდეს, თორემა...

**მარგო** — მხეცო!.. არამზადავ!.. გამიშვი... მიშველეთ! მიშველეთ!

## მეოთხე ეპიზოდი

ჯაფოს კარძიდამი  
ჯაფო, მარვო, ოუიტურაზი

თეიმურაზი — მადლობა ღმერთსა! სადა ხართ, რად და...  
დაიგვიანეთ?

ჯაფო — ურემდი გაგიფუწდეს, შენი წირიმე, ურემდი! გუშინ ვერ  
ამოხვედი.

თეიმურაზი — მაშ, დამე სად გაათიეთ?

ჯაფო — დამე ლევანაშენში გაათენებდე. ჩვენებიანთ თომასთან  
იქნებოდე სტუმრადა.

თეიმურაზი — მ...მარვო, ეგ რა არის? კ...კაბა სად დაიხიე? მხარზე  
რაღაც იარა გაქვს, მკლავიც ხომ არ დაგიშავდა?

ჯაფო — კნეინა ურმიდან ჩამოხტებოდე, სენი წირიმე, კაბა წალს  
მოედებოდე და ხელიც მიარტყამდე. არა გიშავს-რა, შენი წირიმე,  
მალე მოგირჩებოდე ნათლიასა.  
(პაუზა)

თეიმურაზი — (მარვოს) აი, გ...გასინჯე, ნახე, რა დაემართა ჩვენს  
უპატრონო სახლს. ვეღარ იცნობ ხევისთავთა ნაუფლარს.  
ძველი ავეჯეულობა და სურათები დახეულ-დახვრეტილი და  
ჩამტვრეულია, ხარატით ნაკუთები და გრეხილ-ხვეულით შემჯული  
მუხის ბოძები დალურსმულნი და დაჭედილნი არიან ურიდოდ და  
დაუნდობლად. სახლი გატენილია კასრებით, ქილებით, კოკებით,  
კალათებითა და გოლორებით. ერთ კუთხეში გაურჩეველი სიმინდი  
ჰყორია, მეორეში — გაურჩეველი ლობიო. ოთახების ზოგი  
მორთულობა-სუზანები, სარკები, ლბილი ავეჯი, ქანდაკებანი,  
ხალიჩები და უძველესი შირაზის ჭურჭელი აღარსად მოსჩანს.  
კედელში ჩატანებული მუხის ფართე განჯინები და საწიგნე სავსეა  
მყრალი ლოგინით, ჯაგრით და მატყლით. აქა-იქ გაფანტულია  
ხევისთავთა გვარეულობის განთქმული იარაღი: ჯავშნები,  
მუზარადები, პერანგები, სამკაულები, ჩაფხუტები და ათასნაირი  
თოფი და მახვილი. ფიჩესა და წნელს გორდა ხმლით სჩეხენ.  
რამდენიმე ძველი ფარი სარქველის მაგივრად ჭურებისთვის და  
კასრებისთვის დაუწურნიათ, ძველი ფრანგული და ყირიმული  
ხარიხებად გადაუკეთებიათ და ზედ აკიდოები ჩამოუკიდიათ.  
სახლში არცერთი წიგნი აღარ მოიპოვება. მამაჩემის სურათი,

ფერებით ნახატი და მშვენიერ მოქროვილ ჩარჩოში ჩასმული, ხონჩად არის გამოყენებული. ხატები და უძველესი წიგნების ყდები მწინილებისა და ყველის ქილებისათვის დაუხურავთ. სახლის უკან გაშენებული ყვავილნარი, სადაც წინათ იშვიათი ჯიშის ვარდ-ყვავილი იყო მოშენებული, ახლა სავსეა დიდი ყვითელ-წითელი გოგრებით, მზესუჭვრიტეთი, სიმინდით და ლობიოთი.

## მეზუთე ეპიზოდი

შეძლების ნინა

ჯაყო — აი, ესა კიდე ჩემი ცოლი იქნებოდე — ნინა...

თეიმურაზი — რამდენი შვილი გყავს, ჯაყო?

ჯაყო — ცხრა! მაშ, ცხრა შვილი გაგიგეთე ჯაყომა!

თეიმურაზი — ცხრა შვილი გეყოფა ჯაყო.

ჯაყო — რათ გეყოფა ცხრა? ჯაყოს ცხრა ბიწი კიდევ გეყოლება, მაშა! შენ რას იტყოდე, ნინა? (ნინაძ დაიმორცხვა და სწრაფი ნაიჯით გვაიდა)

(მარვო, რომელიც ძლივს დვას ფეხზე, შებარბარდება, ცუდად ხდება)

თეიმურაზი — არიქა, მომეშველენით! ნინა! წყალი! (ყველაზე ადრე ჯაყო მიუცრება და მარვოს ფეხზე დაყუნებს, შეძლევე ნინაც შემოიტანს წყალს და მოსულიერებულ მარვოს სკამზე დასვამენ)

ჯაყო — შენა, ნათლია, რატომ ერთ ბიწი არ გეყოლებოდეს?

თეიმურაზი — არ ვიცი, ალბათ, ღმერთს ასე სურს.

ჯაყო — ღმერთმა რა ვიცის შენი საქმე? შენ იქნებოდე ქალაბიწა; ღმერთს ნუ დააბრალებდე... ჯაყოს კი ცხრა გყავს, ცხრა... სამი ნაბოლარა მოუნათლავი დაგრჩა...

თეიმურაზი — მერე, რატომ არ მონათლე, ჯაყო?

ჯაყო — რათ უნდა მონათლო? ახლა ნათლობა მოდაში აღარა ზარ.

ჯაყომ ვიცის ახლანდელი კანონი. ჯაყო ჭკვიანი ქაცი ზარ.

ჯაყოს მონათლულებიცა გყავს და მოუნათლავებიც. ვინ იცის,

როდის დაგჭირდეს ჯაყოსა მოუნათლავი შვილები! მაშ, მაშა!

(შეძლების ივანე)

**იგანე** – (მხოლოდ თემურაზის ვასვანად) მაშ ასე წაგივიდა  
საქმე, რომ სასხვისოდ გაგიხდა ეგ თავი. ვაი დედასა, ავთანდილ  
ხევისთავო, რას იფიქრებდი, რომ ოჯახი ასე დაგენგრეოდა?

**თემურაზი** – ნუ შეწუხდი, ჩემო ივანე. წყალნი წავლენ და  
წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.

**იგანე** – მართალია, მაგრამ იმ ქვიშაზე გაგუდული თევზიც ბევრი  
მინახავს. წყლის წასვლის მოლოდინს ისევ ის გერჩივნა, რომ  
სამსახურში ფეხი მოგეკიდა, თორემ, ვინ იცის, იქნება წყალნი  
ან არ წავიდნენ, ან კიდევ ძალიან დაგვიანებით წავიდნენ.  
სანამ პეტრე მიეშველა, პავლეს ტყავი გააძვრესო, გამიგონია  
ცხონებულ მამაშენისაგან.

**ჯაფო** – კნიაზო, სწამე, თორემა რაც დალას არ გაძლევდე, იქნება  
იმ დღიდან შენც არ გაძლებოდე.

**იგანე** – ხალხო! სმენა იყოს და გაგონება! ეს ქვეყანა ასე ყოფილა  
მომართული: ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსაო.  
ასე უთქამს დიდებულ შოთა რუსთაველს შვიდასი წლის წინა.  
ისიც უთქამთ: წინანი უკანაი და უკანაო წინაო.

**ნინიკა** – დღეს მენა და ხვალ შენაო...

**იგანე** – წინათ თავადა-აზნაურები გლეხებს უღელში აბამდნენ, ახლა  
კი ბედი შეტრიალდა.

**ჯაფო** – მაშ, მაშ! ახლა კნიაზებსა და აზნაურებს ჩვენ გავაწენებთ,  
მაშ!

**იგანე** – ცხოვრება შეიცვალა, რით არა სჯობია წინანდელ თავადებს  
დღევანდელი ჩვენი მასპინძელი? განა ჯაყოს აზნაურობა არ  
შემვენის?! ჯაყოს ძალაც შესწევს და შნოც. ზოგს აზნაურს  
არც უწინ ეტყობოდა აზნაურობა, ახლა ხომ სულ დაიძირნენ  
და გადავარდნენ. ზოგი ჯანღონით, ჭკუით, გონებით, გავლენით  
და ქონებით აზნაურიც არის და თავადიცა! ასეთ აზნაურებს მე  
პატივსა ვცემ. წინანდელი ჩვენი თავადი კი... ჩვენი აზნაურები  
წყალწასაღებნი იყვნენ და აკი ჩაბარდნენ კიდევაც მიმაგალ  
დროსა! ქვეყანამ იცის, რომ ჯაყო ჯივაშვილი ისე დასტრიალებს  
ჩვენს ღარიბ-ღატაკ გლეხობასა, როგორც...

**ილა** – (სუფრის ძოლოს ჩურჩული ძოისძა) ჰა, სთქვი!

**ნინიკა** – როგორც?

**იგანე** – ვინ მოსთვლის რამდენი მრუდე საქმე გაუსწორა ჯაყობ  
ჩვენს სოფელს და რამდენ გაჭირებულ ქვრივ-ობოლს გაუმართა  
ხელი! ჩვენი იმედი გვაქვს, რომ ამდენი სიკეთის დამთესავი

ჯაყო არც შემდგომში დაიხევს უკან და ისევ ძევლებურად გაგვიწევს დახმარებას. მაშ, გაუმარჯოს ჩვენი სოფლის აზნაურს ჯაყო ჯივაშვილს!

ჯაყო — მაშ, მაშა! ჯაყო დიდი მადლობელი ხარ. თუ სოფელს გინდა, ჯაყო გემსახურებოდე, გაგიწევდე საწყალ ხალხს სამსახურსა, მაშ!

ილა — (ნინიკას) ნიძლავი, თუ ივანემ ხვალ ჯაყოს ტომარა ფქვილი არ გამოართვას.

თეიმურაზი — შეგვინანე, ჯაყო, დრო მოვა და გადაგიხდი!

ნინიკა — ძირს აზნაურები!

თედო და ილა — ძირს აზნაურები!.. არ გვინდა!.. ძირს!.. არ გვინდა!..

(ატყდა ჩოჩქოლი, მიწვე-ძოწვევა)

თეიმურაზი — (ნინიკას) ნინიკა! ჩემი ხათრი შეინახე, ჩჩემი! არ ჩაერიო!

ჯაყო — (თეიმურაზს) სისხლისა ეშინიან თეიმურაზსა, შენი წირიმე, სისხლისა? ნეტა ამისთანა ვაჟებაცს კნიაზობა ვინ მოგცემდე? ქათამიც ვერ დაჰკლავდე, ქათამიცა შენა, თეიმურაზ, კნიაზი კი არა, ბრინკა ხარ, ბრინკა! (ამის გაგონებაზე ნინიკა, თედო და ილა ისევ გაიწვევე ჯაყოზე, მაგრამ ჯაყო იღრიალებს) სმენა იყოს! გაჩუმდებოდე! მე რომელი კნიაზი ხარ? ხომ არ გაგიჟდებოდე. ივანე ხუმრობდეს, თქვენ კი ვერ მისვდებოდეს. სმენა იყოს! ჩვენი სტუმარი, ნათლია თეიმურაზი ლაპარაკი გინდა!

თეიმურაზი — დ... დაიცავით ძ...მობა, მშვიდობა და ამხანაგობა! დ... დანარჩენი თვითონვე დ... დდალავდება. ყველამ გ...გულში ჩ... ჩაიწერეთ, შ...შრომა და პატიოსნება, ღმერთმა ყველას მოგცეთ... მ...მშვიდობა და მოთმინება. (ყველანი გავლენ ივანესა და თეიმურაზის გარდა).

## მექესე ეპიზოდი

თეიმურაზი — აი, საქართველოს გული. გადახედე, ივანე, დღევანდელ ქართლს, უწინდელ ქართლისა მეოთხედიც აღარ არის.

ივანე — ისტორიამ დაანგრია ძველი ქართლი.

თეიმურაზი — ჰო, მეც მაგას ვამბობ. ვინ არ გადმოიარა იმის ზურგზე! სა...წყალი, მთელი ქვეყნისთვის შარაგზად გადაიქცა.

როცა ქართლი ძლიერი იყო ს...საქართველოც ძლიერი იყო. ქართლი დაეცა და საქართველოც დასუსტდა. ქართლი იყო საქართველოს გული. ახლა კი დაბერებულ და დაყრუებულ ნაკაცარს მომაგონებს. წელში გაწყდა ქართლი.

ივანე — ნუ შეშინდი, თეიმურ, მე აქა ვცხოვრობ და აქაურობას შენზე უკეთ ვწევდავ. ქართლიც იზრდება და მაგრდება. აბა, მოიგონე, უწინ რა იყო და ახლა რა არის. ქართლი მხოლოდ ახლა ამოდის მიწიდან, მრავლდება, ბაღებს აშენებს, თვალს იფშენებს და სკოლებს ამრავლებს. გახსოვს, მე და შენ რომ გვინდოდა ნაშინდარში სკოლის დაარსება. მაშინ შენ აქაურობას თავი გააშორე. მე კი კინაღამ ჩამაქვავეს — სკოლის გახსნაზე ხელი აიღეო. რაც მაშინ ვერ მოხერხდა, წრეულს შესრულდება. ნაშინდარს შემოდგომიდან სკოლა ექნება. არ გინდა იმ სკოლაში მასწავლებლად შეხვიდე?

თეიმურაზი — არას...სსოდეს!

ივანე — მაინც, რატომ?

თეიმურაზი — მიზეზი კარგად იცით. ოცი წელიწადი იმისთვისაც კი არ ვიმუშავე, რომ ბოლოს სოფ...ფფლის მასწავლებლობით დავასრულო ჩემი სიცოცხლე და მ... მოღვაწეობა.

ივანე — მაშ ჯაყოს ხიზნობა გირჩევნია?

თეიმურაზი — დასავლეთისაკენ გაიხედე, ივანე, გაიხედე, ცა რა მ... მშვენიერებით არის შემოსილი.

## მეშვიდე ეპიზოდი

ჯაყოს ქარ-მიზამა

ჯაყო, ნინა, აიგანზე თეიმურაზი და მარგო

ჯაყო — ქეშელა, აბა ზელი გაანძრევდეთ, წელი ნუ გიწყდებოდეს! (ნინას დიდი ტომარა აპერა) აბა, გასწი. (ნინამ დაიკვირდება) ძაღლი კოწლობით არ მოკვდები.

თეიმურაზი — ჯაყო, ეგრე რათა სტანჯავ შენს ცოლს? ძალიან ბევრი სამუშაო აქვს.

ჯაყო — დედაკაცი მუშაობისთვის არის გაჩენილი, მაშა!

თეიმურაზი — ყველანი მუშაობისთვის ვართ გაჩენილი, ჯაყო,

მაგრამ დედაკაცს უფრო ადვილი საქმე ერგო, რადგან მამაკაცზე სუსტია.

ჯაყო — დედაკაცი ხარ სუსტი? შენ რა გესმის? ბრინჯა?!  
ქალაქელებმა გააფუჭეთ დედაკაცი, თორემა ჩვენ ჩვენი ძველი  
ადათი შეგინახეთ.

თეიმურაზი — (კიბურზე ჩამოიდის ნინას მისაშველებლად) ცოდნა,  
ნინო, ჯაყო, ცოდნ!

ჯაყო — ჯაყომ ცოდნ არ ვიცის.

თეიმურაზი — ჯაყო, ახალი კანონით დედაკაცი და მამაკაცი  
თანასწორნი არიან.

ჯაყო — ვიცის, ჯაყომა, ვიცის!

თეიმურაზი — (ნინას დაუწია და ტომარა ძალით ჩამოართვა) ჯაყო,  
შენ ხომ ქრისტიანი ხარ?

ჯაყო — მაშ, ქრისტიანი ხარ, ჯაყო.

თეიმურაზი — მაშ ყური მიგდე; სახარებაში სწერია, რომ...

ჯაყო — ვიცის, ჯაყომა, ვიცის! ჯაყომ სამჯერ დაიწერა ჯვარი.  
მღვდელმა სამჯერ გითხრა ეკლესიაში, რომ ქმარმა ცოლი უნდა  
დაგაშინაო და აი, ასე უნდა შეინახო: (მუშავი უჩვენა) აი, მაშ,  
მაშ!

(თეიმურაზმა ნინას ტვირთი თვითონ მიათრია ურამძღვ).

ჯაყო — ნინა! ქალბატონს პოლსაპოჩები გახადე! (ნინა შეცბა.  
აიგანზე სერის საცეკვლად გადმოყენებული შპრვო სწრაფად  
სავარძელში ჩაეშვა, გაიტრუნა. თეიმურაზმა ვაოცებით შეხდა  
ჯერ ჯაყოს, მერე ნინას). აბა ჩქარა!

(ნინა ნულა ავიდა აიგანზე და მარვოს წინ დაიჩოქა...)

## მერვე ეპიზოდი

ივანეს სახლი

ივანე და თეიმურაზი სუფრას შემოსხდომიან

თეიმურაზი — ოჰ, გული, გული! რეინის დროებაში ვცხოვრობთ,  
ჩემო ივანე, რეინისა! ამიტომ ახლა ყველაზე მნელი საშოვნელი  
გული ყოფილა. სიყვარული მოკვდა, ჩემო ივანე, მოკვდა!

ივანე — რად მოკვდა, თეიმურ? მართალია, ანაფორა გავიხადე,  
მაგრამ ქრისტეს მოძღვრება ძვალ-რბილში მაქვს გამჯდარი.

საცა სიყვარული არ არის, იქ არც მეგობრობაა, არც ოჯახი, არც საზოგადოება და არც სახელმწიფო.

**თეიმურაზი** – მ...მართალია, მაგრამ ახლა სიყვარულის ნაცვლად ქვეყანაზე და ხალხის გულშიც სხვა რმა დაგ...გუბებულა. როგორ ცხოვრებენ ერთ გულში ასეთი თავგანწირული სიყვარული და ასეთი საშინელი მბულვარება და ზიზღი? ცეცხლი და წყალი ერთმანეთში არეულან და მშვიდობიანად შეწყობილან.

იგანე – ვისაც უყვარს, იმას სძულს კიდეც, ჩემო თეიმურ...

**თეიმურაზი** – არ მესმის, როგორ უნდა აშენდეს სიყვარული მბულვარებაზე.

იგანე – მე კი ასე მესმის: სიყვარული უეჭველად შობს შურს, იჭვსა და სიძულვილს; ვისაც უყვარს მოძმე თავისი, იმას უძირო სიძულვილით უნდა სძულდეს მტერი თავის მოძმესი.

**თეიმურაზი** – მაშ სიყვარული და სიძულვილი ერთმანეთის შშობლები ყოფილან, არა?

იგანე – არა, სიყვარულია სიძულვილის შშობელი, ხოლო სიძულვილი სიყვარულს ვერ შობავს. ქრისტიანული სიყვარული ლანდია, მოჩვენებაა. იგი განყენებული რელიგია გახლავს და მიწის ხალხს არ უდგება.

**თეიმურაზი** – ერთი მითხარი, ქართველ ხალხზე რას იტყვი, ივანე? ქრისტიანია იგი თავისი სულითა და ხასიათით?

იგანე – არა.

**თეიმურაზი** – სადაც სარწმუნოება არ არის, იქ ხომ არც სიყვარულია.

იგანე – მაგას ნუ იტყვი. დღევანდელი ქვეყანა ჩემთვის უცნაურია და გაუგებარი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისიც სიყვარულზე შენდება.

**ჯაყო** – (*შეძრულის*) შენი ქნეინა ძალიან ფინთად გაცვია, ჯაყო ფული გასესხებდე, ჩააცმევდე მარგოსა, თორემა შენი სირცხვილი ხარ.

**თეიმურაზი** – მადლობელი, ჯაყო, დიდი მადლობელი. ერთს ორად გ...გადაგიხდი, შენს სიკეთეს არასოდეს დავივიწყებ. ოდესმე ბედი ჩ...ჩემსკენ მოიხდვს...

**ჯაყო** – მაშ, ნათლია მარგო სტანციაში წაგიყვან და იქ მოგიცდი კნეინას! ერთი დღე განდა ქალაქში, მეტი ხომ არა!

(პაუზა)

**თეიმურაზი** – ჯაყო და მარგო ხუთი დღის შემდეგ დაბუნდნენ.  
(პაუზა)

ივანე – ერთი მითხარი, რატომ არაფერს არ აკეთებ?

**თეიმურაზი** – რატომ არ ვაკეთებ? რა უნდა გავაკეთო? ჩემს საქმეს  
არ მაძლევენ. სხვისას კი ხელს ვერ მ...მოვკიდებ. მე სხვის  
სკამზე ვერ დ...დდავჯდები.

ივანე – იწამე ახალი ქვეყანა და...

**თეიმურაზი** – ესე იგი ქ...ქედი მოვიდრიკო?

ივანე – ეს ქვდის მოდრეება არ არის. მხილოდ გაჩუმდი და საცა  
არ გეკითხებიან, იქ ნუ ჩაერევი.

**თეიმურაზი** – ეს ხომ სულიერი სიკვდილია.

ივანე – თუ მეტი გზა არ არის – მოკვდი!

**თეიმურაზი** – მე ჩემი ხელით თავს არ მოვიკლავ.

ივანე – ახლა, არ კვდები განა?

**თეიმურაზი** – ხორცით ვკვდები, ივანე, ხორცით? მაგრამ სული  
ისევ ჩემია, ჩემი! მაგრამ რად გინდა! საიდან ან როგორ უნდა  
ჰქონდეს მშვიდი გული და სული ჯაყოს სიზანს. მესმის, რასაც  
მეკითხები ჩემო ივანე, კარგად მესმის, მაგრამმ...

ივანე – მაგრამ?

**თეიმურაზი** – მაგრამ ისა, რომ მალე გადავუხდი.

ივანე – როგორ? საიდან?

**თეიმურაზი** – ცხინვალში ან გორში სამსახურს მომცემენ.

ივანე – შე კა კაცო, აკი გითხარი ამას წინათ, ნაშინდარში  
სკოლას ვხსნით... აქვე დარჩი და შემოდგომიდან მასწავლებლობას  
შეუდექი.

**თეიმურაზი** – ქუჩის დამლაგებლად წავალ და მასწავლებლობას  
ვერ ვიკისრებ.

ივანე – რატომ? რა მიზეზით?

**თეიმურაზი** – მე ბავშვს ისეთ რამეს ვერ ვასწავლი, რაც თვითონ  
არა მწამს!

## მეცხრე ეპიზოდი

(ჯაყოს და მარგოს სცენა საქანელაზე)

ილა – თეიმურაზ, ახალი კანონი გამოსულა მიწების გაყოფაზე.  
შენი ჭირიმე, გაგვაგებინე.

თეიმურაზი – ახალი კანონებისა მე არაფერი ვიცი და არც მინდა  
ვიცოდე.

ილა – რატომ?

თეიმურაზი – იმიტომ, რომ კანონი ქაღალდზე იწერება, ცხოვრება  
კი თავის გზით მიდის და წავა.

თედო – თეიმურაზ, შენი ჭირიმე, მაშინ ის გვასწავლე, როგორ  
უნდა გასუქდეს მიწა?

თეიმურაზი – დიდი სიამოვნებით გ...გგასწავლით. მ...მმომითმინეთ.  
(კიბეზე ადას)

ილა – ეგეც ძაცი იყო და ცხოვრობდა, ახლა კი ჯაყოს სამადლოდ  
გაიხადა თავი.

თედო – თვითონ არ გაიხადა, ცხოვრებამ მოზნიქა!

(თეიმურაზი თოახში შევიდა და იქურობა კედარ: კედელზე  
ხალიხა; იატაკზე ფარდავები და ხავერდის ავეჯი)

თეიმურაზი – საკ...კპვირველია! ს...საკვირველია! ჩვენი ნივთები!  
საკვირველია სად იყო აქმდე ეს ყველაფერი? ჯაყო ამბობდა:  
ზოგი მოიპარეს და ზოგიც ხელისუფლებამ წაიღოო.

მარგო – კარგი, გაჩუმდი! ხმა არ ამოიღო. სირცხვილია. სტუმრები  
ვართ, უფასოდ გვასმევნ და გვაჭმევნ. ესეც საკმარისია.

ჯაყო – (კითხულობს) აი თი-თი... თა-თი... აი თათი... თუთა...  
(თეიმურაზი უკანვე გამობრუნდა, რაღაც წიგნი თუ კონსექტი  
მოაქვს)

თეიმურაზი – (გლუხებს) სასუქის ამ თეორიას ჰქვია ლიბ-ბბიხის  
კანონი. მცენარეს უმთავრესად სჭირდება აზოტი, ფოსფორის  
სიმჟავე, კალიუმი და კირი.

ილა – ჩვენ მაგისი არაფერი გვესმის. გვითხარი, როგორ გავასუქოთ  
მიწა ან რა დავყაროთ?

თეიმურაზი – დააყარეთ, გუანა, ნეხვი...

თედო – ჩვენ არა გვაქვს გუანაა თუ რაღაც ჯანდაბა!

**ილა** — ნეხვი გაგგაქვს მინდორზე, მაგრამ ამბობენ, სხვანაირად უნდა შევინახოთო, თორემ ჩვენებური ნეხვი, ჰაერზე რომ ყრია, იფიტებაო. გვითხარი, როგორ შევინახოთ.

**თეიმურაზი** — (პაუზის შემდეგ) ეგ კი არ ვიცი...  
(თეიმურაზი ისევ ზევით ავიდა)

**ჯაფო** — (კითხულობს) გენა-ცვა-ლე მარ-გო-სა! ჯაფო სევისთავი...  
(თეიმურაზი შეამჩნა) ბრინჯა! სამსახური იშოვნე?

**თეიმურაზი** — მართლა... სამსახური დამავიწყდა. (ვადის)

**ჯაფო** — აი, ახლა კი კაცი გახდი ჯაფო! ახლა ჯაფოსა მარტო სევისთავის გვარი და შენისთანა კნეინა გაქლია. მაშ, მაშა!

(მარგო სელიავს გაუყრის და გავლენ).

## მეორე მოქმედება

### პირველი ეპიზოდი

თეიმურაზი და ივანე

თეიმურაზი – ვიღუპებით!

ივანე – ვშენდებით! ქართული სული და კულტურა მხოლოდ ახლა  
იღვიძებენ!

თეიმურაზი – ხა-ხა! ქართული კულტურა! ქართული სული  
ზღაპარია! ქართული კულტურა ჭორია!

ივანე – ერთ უკვდავია!!

თეიმურაზი – დროს წინაშე უკვდავი არაფერია. მასთან შედარებით  
ღმერთიც კი უძლურია.

ივანე – თუნდ აგრეც იყოს, ჩვენ წავალთ – გაცობრიობა კი  
დარჩება.

თეიმურაზი – გაცობრიობა, გაცობრიობა! დაგიჩემებია! ერთი ამბავი  
მაგონდება. ოციოდე წლის წინათ გენერალმა ალიხანოვმა გურია  
დაანგრია და გადაპტუგა. იმავ ხანებში საფრანგეთში ერთი  
მაღარო ჩამოინგრა და ასიოდე გაცი გასჭყლიტა. გორელებმა  
წარმოდგენა გაპმართეს და ორმოციოდე თუმანი იმ მუშების  
ქ...ქქრივ-ობლებს გაუგზავნეს. გორელებს ვკითხე, გურულებს  
რამდენი გაუგზავნეთ მეთქი? არაფერიო. გურულებსაც ვკითხე,  
ფრანგებმა რა დახმარება მოგცეს მეთქი? არაფერიო. იმ  
ფრანგებსაც რომ ჰკითხო, ჩვენი წვლილი რომ მიუვიდათ, ს...  
სსაქართველო სად არისო, ან სამხრეთ აფრიკას დაატაკებენ  
თითს, ან კიდევ რომელიმე ტროპიკულ კუნძულს!.. არა, ჩემი  
ივანე, გაცობრიობა და ჩვენ ერთმანეთის ნათესავები არა ვართ.  
ივანე – თეიმურაზ, განა ცხადი არ არის, ვინც კაცობრიობისათვის  
მუშაობს, ის თავის ქვეყნისათვისაც მუშაობს.

თეიმურაზი – არც ეგ არის მართალი. ყველანი თავისთვის  
ცხოვრობენ. მხოლოდ რუსები და ქართველები ზრუნავენ  
სხვებისთვის. მე რომ ჩემი სიყვარული და ენერგია მთელ  
კაცობრიობას გაფუნაწილო, ჩემს ძმას ერთი მემილიარდებიც  
არ ერგება. მე კი გეუბნები, ივანე, რომ ვინც თავის ძმისთვის  
მუშაობს, ის კაცობრიობისათვისაც მუშაობს მეთქი.

**ივანე** – ვთქვათ, შენ მართალი ხარ, მერმე, რატომ შენ აღარ მუშაობ ქართული კულტურისათვის?

**თეიმურაზი** – ისე ადგილად ლაპარაკობ, თითქოს ჯაყოს ხიზანს კულტურის სამსახური შეეძლოს.

**ივანე** – ნუ მოიყვანდი საქმეს ჯაყომდენ. თავიდანვე უნდა თადარიგი დაგეჭირა.

**თეიმურაზი** – ეჰ, შე დალოცვილო! და...დაგიუინია თადარიგის დაჭერა. რატომ შენ თვითონ არ დაიჭირე თადარიგი? რა გინდოდა, მღვდლად რომ შეხვდი? შენ მანც დროზე უშევლე შენს თავს, მე კი – და...დავიგვიანე. ეს არის განსხვავება, მეტი ხომ არაფერი?

**ივანე** – განსხვავება დიდია, ჩემო თეიმურაზ, ძალიან დიდი. მე ეკლესიის მსახურებას მოვწყდი და ხალხს დავუბრუნდი, შენ კი ძველსაც მოსწყდი და ახალსაც ვერ შეურიგდი.

**თეიმურაზი** – (ძვირე დუმბლის შეძლვე) ქართველ ერსა და ქართულ კულტურაზე ვლაპარაკობდით... საიდან და ორგორ უნდა შექმნილიყო ეს ერთიანი ქართველი ერი და კულტურა?! ორი ათას წელი მაინც იქნება, რაც ამერ-იმერეთი ერთ ნაჭერ მიწაზე ვცხოვრობთ. ერთად კი, ერთიან სახელმწიფოებრივ და ეროვნულ შენობაში ორასი წელიწადიც არ გვიცხოვრია.

**ივანე** – ახლა ხომ გაერთიანებული ვართ! შენც შეები საერთო უდელში და შენი წილი გასწიე.

**თეიმურაზი** – კაცო, ივანე, მე რა მოსატანი ვარ? მე დავიღუპები თუ ავშენდები, ქართველ ხალხს არც ევნება, არც შეერგება.

**ივანე** – აბა, მაგას ორგორ ამბობ? ხალხი შენისთანა უჯრედებისაგან შედგება.

**თეიმურაზი** – მართალია, მაგრამ გავაფართოვოთ მსჯელობის ფარგალი. ერთი მითხარი, თავისი ხასიათით და სულიერი აგებულებით ქართველი ხალხი დემოკრატია თუ არისტოკრატი?

**ივანე** – ვისაც ვუცვნივართ, არისტოკრატებში ჩავურიცხივართ.

**თეიმურაზი** – გიშველა ღმერთმა! მაშ ერთი გამაგებინე: ზნე–ჩვეულებით, სულითა და სისხლით არისტოკრატმა ქართველმა ხალხმა როგორ მოახერხა დამყარება უდემოკრატიულეს რესპუბლიკისა? ხომ გახსოვს, რამდენიმე წლის წინათ მთელი ქვეყანა რომ შევძარი რიხიან ვეირილით და ბაქიობით: მოდით, გვნახეთ და ჩვენგან, მენშევიკებისაგან ისწავლეთ ნამდ... დვილი და...დემოკრატიული რესპუბლიკის აშენება და ნამდვილი

ხალხოსნური წესრიგით?! შეუა აზიაში მეორე შეეიცარიის შექმნა განვიზრახეთ. ხა-ხა! სასაცილოა, მაგრამ სატირალიც არის ეს ამბავი, ჩემო ივანე. ეს იყო ყირამალა დღობა და საკუთარ ქერქიდან ამოხტომა. ჩვენ ჩვენს თავსაც ვატყუებდით და ქ... ქქვეყანასაც... ესეც ჩვენი კუდაბზიკურ-აზნაურული მაიმუნობა გახლავთ. ბოლოსდაბოლოს, საქ-ქქართველოს ეს მაიმუნობა დაპლუავს, თუ დროზე არ ვუშველით ჩვენს თავს. (ივანე ივანის) შენ იცინი, მე კი ცრემლი მომდის. ყველა შრომას გაურბის და მინისტრობას და კომისრობას ეტანება. მთელი საქართველოს სამსახურს ეძებს. მილიცია, კანცელარია, თვეში ზუთი ან ათი თუმანი ჯამაგირი – აი, ჩვენი საქმე და იდეალი.

**ივანე** – ვაიმე, ჩემო თეიმურ, შენ ამ ქვეყნისა აღარ ჰყოფილხარ. შე კაი კაცო, თუ აქმდის არ იცნობდი ჩვენს მშრომელ ხალხს, ახლა მაინც დააკვირდი. ამბობ, ჩვენი ხალხი შრომას გაურბისო. შენ რომ შეუა ძილში ხარ შესული, მთელი სოფელი მინდორშია გაკრეფილი. ჩვენ დილის ოთხი საათიდან საღამოს ცხრამდე ვმუშაობთ. მერმე როგორ! ძვლებს ვიმტვრევთ, ძარღვებს ვიწყვეტავთ და სამად ვიკეცებით.

**თეიმურაზი** – კიდევ გინდა მაგალითი? მოგახსენებ: ქართველს სულივით უყვარს ფული, მაგრამ უძირო სიძულვილით სძულს და ეზიზლება ფულიანი კაცი, ესე იგი ფულის მოვნის ხერხი, ესე იგი ვაჭრობა და მრეწველობა. ხოლო ვაჭრობისათვის და მრეწველობისათვის საჭიროა დიდი თაოსნობა, გარჯა და მომჭირნეობა, ესე იგი ორის შოგნა და ერთის დახარჯვა, ესე იგი თავდაჭერილი, დინჯი და ანგარიშიანი ცხოვრება, სულისა და ხორცის დისციპლინა, ეს იგი შრომა და ნებისყოფა.

**ივანე** – ისევ შრომა!

**თეიმურაზი** – ჰო, შრომა და შრომა! შრომა ახალი დროის ახალი სარწმუნოებაა, ახალი რელიგიაა, ქრისტიანობაზე უფრო მძლავრი, უფრო საჭირო და სასარგებლოა. ვინც ეს გაიგო და ამას ხორცი შეასხა, გამარჯვებულია. ვინც ვერ მოერია, – დაღუპულია. ინებე: ადამიანს სძულს ყოველივე, რაც არ ეხერხება და არ ძალუმს, ესე იგი, მას ეზიზლება საკუთარი თავის უძლურება, უმწეობა და ჩამორჩენა! ამიტომ მოხდა, რომ ფულიანების მახვილს ჩვენ დავუპირისპირეთ ჩვენი აზნაურული ფარი, – დანდობა და რაინდობა, კუდაბზიკობა, ნებამოშლილ ადამიანის უძლური ამპარტავნება და ღატაგის ჭექა-ჭუხილი... და

კიდევ: ბედმა ჩვენს ბუნებას არ დააცალა თავისი გაეტანა, და ისეთი ქურქი ჩაგვაცვა, რომელიც ჩვენს ხასიათს არ უხდება. ამ მძიმე ქურქის ზიდვაში მალე დავილევით და დავგარდებით, ვ...ვინაიდან ეს ქურქი ჩვენს აზნაურულ მხარ-ბეჭზე არ არის გამოჭრილი.

ივანე — ვითომ აგრე ღრმად გაქვს აზნაურობა გამჯდარი?

თეიმურაზი — ქეჩოდან მოყოლებული ფეხის ფრჩხილებამდე!!

ივანე — აი, გიშველა ღმერთმა! ძლივს არა სთქვი სიმართლე?! ჩვენც მანდა ვართ და სწორედ მაგას ეპრძეით: აღარ გვინდა ფუქსავატები, მფლანგველები, ყოყოჩები, კუდაბზიკები და ამპარტავნები, ვინც მუშაობს, იმას არც კუდაბზიკობისათვის სცალიან, არც ქეთვისათვის.

თეიმურაზი — მერე, რა გამოვიდა ამ ბრძოლიდან?

ივანე — თუ ჯერ-ჯერობით ბევრი არაფერი გამოვიდა, ხვალ და ზეგ გამოვა. ორ დღეში სოფელი არავის აუშენებდა. დაე ყველამ ერთმანეთს მხარი მიცვეთ, ცოტა კიდევ მოვითმინოთ და...

თეიმურაზი — რა გაკეთდა მეთქი?

ივანე — ძალიან ბევრი. მიიხედ-მოიხედე.

თეიმურაზი — ეგ მართალია, ძალიან მუშაობთ, მაგრამ... ერთს რომ ააშენებთ, ორი ინგრევა, კოოპერატივი ქვეყანას ვერ ააშენებს.

ივანე — თეიმურაზ, ბრძანს რამდენიც უნდა ეჩიჩინო, თეთრს შავისაგან მაინც ვერ გაარჩევს. ტყუილია ჩვენი ლაპარაკი.

თეიმურაზი — მეც აგრე მგონია; ჩვენ ერთმანეთი ბრძები გვგონია.

ივანე — ისტორია ყველას გაასამართლებს.

თეიმურაზი — ოღონდაც, ოღონდაც! მე მწამს მისი პირუთვნელი განაჩენი. ისტორიის სიტყვა ცხელი შანთით დასდალავს ჩვენს დამპალ თაობას. ახიც იქნება ჩვენზე, ახი!

ივანე — შენზე რას იტყვი, თეიმურაზ, შენზე?

თეიმურაზი — ჩემზე? სხვას რომ ათი მოხვდეს, მე ასიც არ მეყოფა, აი ამას ვიტყვი. თუ ვინმე ჩემზე პირნათელია, პირველი ქვა იმან მესროლოს. მე მზათა ვარ განაჩენისათვის.

ივანე — გამაგრდი. თეიმურ, თორემ ურწმუნოების და ეჭვის ჭია შეგჭამს.

თეიმურაზი — ოღონდაც! ოღონდაც, შემჭამს! ნეტარ არიან მორწმუნენი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა.

## მეორე ეპიზოდი

ძარღოს თოახი

**თეიმურაზი** — გორშიც ვიყავი, სხვაგანაც... სამუშაო ვერსად ვიშოვნე...

**ჯაყო** — ბრინჯა, შენ ადგილი ვინ მოგცემდე?

**თეიმურაზი** — რატომ, ჯაყო, რატომ არ მ...მომცემენ? აი, ც... ცხინვალში მოვქიბნი, წავალ. დავიღალე, თორემ ხვალვე წავიღოდი. ნუ გეშინიან, ჯაყო, შენ ვალს, აღრე თუ გვიან, გ... გადაგიხდი.

**ჯაყო** — ვიცის ჯაყომა, ვიცის რასაც გადაგიხდი! რა გაქვს ბრინჯასა, რა უნდა გადაგიხადო ჯაყოსა? იცი, რა გითხრამ, თეიმურ? მუშაობა შენი საქმე არ ვიქწებოდე. მთავრობაც სამსახურს არ მოგცემდე. საცა თავი შეყავი, ყველგან გამოგაგდე. ქალაქშიც ველარ წახვიღოდე და აქცა უსაქმოდ დაეხეტებოდე, ერთი გითხარი ჯაყოსა, ვაჭრობა როგორ მოგწონდე?

**თეიმურაზი** — ვაჭრობა? ვაჭრობა ჩემი საქმეა, ძალიან კარგად მაქვს შესწავლილი. ბანქში და კოოპერატივში ვმუშაობდი

**ჯაყო** — თავი დაგანებე კაპრატივი! ქრორტუ კაპრატივი! შენ ყური გიგდე ჯაყოსა. ჯაყომ კარგად ვიცის ვაჭრობაც და კაპრატივიც. მოდი ამ სოფელში ერთი დუქანი გახსნა. რას იტყოდე?

**თეიმურაზი** — დ...დღუქანი? მე?

**ჯაყო** — მაშ, მაშა! მე ხაზეინი და შენ დახლიდარი. ყური გიგდე ჯაყოსა: გლეხი ტუტუცი ხარ, ძველი ფულისა არაფერი გესმის. ჯაყომ კი ადრე გაიგე, რომ წინანდელი ფული სულ ქვევით მიდისარ და მიდისარ, მიდისარ და მიდისარ! ქრორტუ ასეთი ფული, სთქვა ჯაყომა და ის ფული ერთი დღეც არ შეგინახე. ჯაყომ ეშმაკობა გაგიკეთე და მარტო საქონელით ივაწრე. ერთი გირვანქა ნაგოში ნახევარი ჩანახი ლობით აიღე, ან სამი გირვანქა მატყლი ან ათი გირვანქა კარგი ხილი. გლეხები დათვლა აღარ ვიცის, ყველაფერი ისე აგერია თავში, რომ ძაღლი პატრონს ველარ იცნობდი. ყველანი გაკოტრდი, ჯაყო კი გადარჩი და ბევრიც მოიგე. ახლა ყველაფერი გამოიცვალე, ახლა ნამდვილი ფული გაჩნდი, აი, გენაცვალე ამის ძაღლსა.

(ჯაყომ ჩერვონცების დასტა ამოიღო და აშრიალა). დიდი ძაღლი გაქვს ამ თუმანსა, ახლა კარგი დრო გაქვს დუქანსა, დაჯე, გაყიდე

და ასეთი ჩერვონცები დაგაგროვე და დაგაგროვე, დაგაგროვე და დაგაგროვე. მაშ, მაშ! ა, რას იტყოდე, კარგი საქმე გითხრამს ჯაყო თუ არა?

თეიმურაზი — მოვიფიქრებ, ჯაყო.

ჯაყო — შენ რას იტყოდე, მარგო?

(თეიმურაზმა კერც კი შენიშვნა მარვოს შეძლოს კლასიკულა. კაოცებული უცხორის. ვერ ვაუკა, როდის ან საღამო შეძრვიდა)

მარგო — ცუდ უბრალოდ ხეტიალს ისევ დახლიდარობა სჯობია. ჯაყოს მაღლს მაინც არ დაგაყედრიან.

(პაუზა)

ჯაყო — აბა, ნათლია, პასუხი მოგეცი.

(პაუზა. თეიმურაზი შესცემურის მარვოს)

თეიმურაზი — თ...თანახმა ვარ, ჯაყო.

ჯაყო — ჯაყოც თანახმა ხარ! მაშ, ღმერთი იყავი ჩვენი საქმის ამხანაგი! დავიწყებდეთ!

## მესამე ეპიზოდი

თეიმურაზი — ჩემო ივანე, ეს მარქესისტები სხვაგან რომ სცდებოდნენ, ერთგან მაინც ცამდე მ...მართალნი არიან. ამბობენ: სულიერი, ეროვნული და ყოველგვარი კულტურა ქონებრივი კულტურის ზედნაშენიაო. კეთილი და პატიოსანი. აბა, გავყვეთ ბოლომდის ამ ჭეშმარიტებას. გეკითხები, შეუძლიან თუ არა ქართველს ქონებრივ კულტურის შექმნა? შეუძლია თუ არა ორი იშოვნოს და ერთი დახარჯოს, ის მეორე კი დაატრიალოს და კიდევ ერთი მოუმატოს, ქვესკნელიდან სასარგებლო მასალა ამოიღოს, შრომით წელი მოიწყეოტოს და გამდიდრდეს?

ივანე — რატომ არა, მიიხედ-მოიხედე და დაინახავ, ასი და ორასი წლის წინათ ხალხი უნიფერსოდ დადიოდა, ახლა კი ერეკლე მეუეზე უკეთესად საქართველოში ათასი ოჯახი ცხოვრობს. შენი აზრი ამას იმიტომ ვერ მისწვდომია, რომ ცალი თვალი დახუჭული გაქვს და გულში ჩვენი ხალხის უნდობლობის შხამი დაგგუბებია. თეიმურაზ, მე შენისთანა ნასწავლი არა ვარ, მაგრამ ერთი ისეთი რამ ვიცი, რაც შენ არ იცი, მაგრამ არ გინდა გაიგო. სად გინახავს, რომ ხალხმა ასე ძირფესვიანად ამოაგდოს ძველი ქვეყანა და მეორე დღიდანვე გამდიდრდეს?

**თეიმურაზი** – ეს საბუთი არ არის. მერვე წელიწადი მოდის.

**ივანე** – ძალიან გაგშავებია ეს სული, თეიმურ! ამოიგდე მეთქი გულიდან ეგ ნაღველი, თორებ შეგჭამს.

**თეიმურაზი** – აკი გითხარი, შემჭამა და გამათავა მეთქი. ჩემი განკურნება ძნელია. ოჰ, ღმერთო დიდებულო, ნეტა როდის დამიძრუნდება სულიერი მშვიდობა და სიხარული.

**ივანე** – მაშინ დაგიბრუნდება, როცა შენც ჩემსავით დაუბრუნდები ხალხს და ეზიარები იმის სულითა და გულით, იმის ჭირითა და სიხარულით, იმედითა და რწმენით. მე შენსავით განათლებული არა ვარ, ამიტომ ისტორიასა და მეცნიერებას ვერ წავაწყდები, მაგრამ ეს ცხოვრება შენზე კარგად მესმის. ვინც იგი არ მიიღო, ცხოვრებამ არც ის მიიღო. შენც არ იცი, რა გინდა და რას ეპოტინები. ქართველი ხალხისთვის სიკეთე გინდა, მაგრამ იმავე დროს სწყელი და ცილსა სწამებ... ნეტავ ვიცოდე, რას იზამდი, რომ ხელისუფლება შენ ჩაგივარდეს ხელში? ყველა კარს გააღებდი და ქართველ ხალხს უცხოელებს ყმად დაუყენებდი ზოგს უცხო ერს ძალიან ემტერები, მაგრამ შენც ძალაუნებურად მათი ერთგული მონა გახდებოდი. (თეიმურაზი ივანეს ღვინოს შეასხამს სახეში. და მავიღიდან წამიხტება. ივანე შეიწინდავს.)

**თეიმურაზი** – (დაუჩრიებს) მაპატიე, ივანე, თუ ღმერთი გწამს; მაპატიე. (ივანე გადის. შემოღიან იღა, ნინიკა, თუდო.)

### მეოთხე ეპიზოდი

**ნინიკა** – ნათლია, ჯაყოს დახლიდარად დაუდექი?!

**თეიმურაზი** – მაშ, რა ვქნა, ნინ...ნნიკა, უსაქმურობას ისევ ეს სჯობია.

**ილა** – რაღა ჯაყოს მიეშველე? განა ის არ ეყოფა იმ წურბელას, რაც სისხლი გამოგწოვა?!

**თედო** – შენი ოჯახიც მაგან შეჭამა და ახლაც დახლიდარად დაგიყენა განა?

**ნინიკა** – საცაა კოოპერატივი უნდა გავხსნათ. ჩვენ გაცი არა გვყავს, შენ კი ჯაყოს მიეხმარე.

**ილა** – ჰაზირ ჩვენ გვიშველო, შე კაი კაც!

**თედო** — ალბათ, ჯერ არ იცნობს ჯაყოსა, თორემ მხარს არ მისცემდა.

**ნინიკა** — ჯაყო წინანდელ ჩარჩზე უარესია. რაღა მე გიაშბო, შენც იცნობ, მაგ არამზადას. ჯერ იყო და შენი ტყე მუქთად ჩაიგდოს ხელში...

**თეიმურაზი** — ვიცი, ნინიკა, ვიცი.

**ნინიკა** — გიშველა ღმერთმა, თუ იცი! მერმე იყო და, სოფელი აიკლო.

**ილა** — შენ რომ ქალაქში იყავი და არაფერს ხედავდი, ეს კაცი ჩვენ ტყავს გვაძრობდა. აღარაფერი შეგვარჩინა.

**თედო** — საქონელს იტაცებდა, ღალას ორჯერ და სამჯერ გვახდევინებდა.

**ნინიკა** — შენი შემოსავლის ნახევარს იჯიბავდა.

**თეიმურაზი** — ჩემი ბრალია, მებო, ჩემი! თქვენს საჩივარს დროზე ყური არ ვათხოვე და არ მოგ...გგაშორეთ.

**თედო** — გიშველა ღმერთმა, ეგეც გცოლნია.

**ილა** — მერე იყო და, ყველაზე კარგი მიწები დაიჩემა, ბოლოს ისე წაიყვანა საქმე, რომ შენი სახლ-კარი და ბალიც დაისაკუთრა.

**ნინიკა** — მამაჩემი იმ ვენახში დაბერდა, ჯაყო კი ზედ დააჯდა. სამართალი სად არის?

**ილა** — მაგას თავი დაანებე, თეიმურაზის სახლის მორთულობაც რომ დაიჩემა, ეს რაღა არის?!

**თედო** — მაშა, შენ ეგა თქვი, და! ისე იეშმაკა, ვითომ სახლი ყაჩაღებმა გაქურდეს, ნამდვილად კი თვითონ დაიტაცეს ყველაფერი და შენი სიმდიდრე ისევ ჩვენ დაჩაგვრას მოახმარა.

**ილა** — ერთ არშინ ჩითში ერთ უკუ ხორბალს გვართმევდა.

**ნინიკა** — რაღა გვართმევდა, ახლაც ეგრე არა სჩადის?

**თედო** — იმიტომ კი არ გავყარეთ თავადები და ბურჟუები, რომ ახალი ბატონი დაგვესვა კისერზედა?!

**თეიმურაზი** — მერმე, რატ...ტომ აქმდის არ ალაგმეთ ეგ კაცი?

**ნინიკა** — იმიტომა, რომა მთელი სოფელი ხელში ჰყავს. გაიძახიან, ბევრი სიკეთე გვიყოლ...

**თედო** — არ გვინდა მაგის სიკეთე! ქარისა არც მოტანილი გვინდა და არც გატანილი. ცოტაც მაიცადოს და ნახავს!

**ნინიკა** — სკოლის და კოოპერატივის საქმეში დაგვეხმარები თუ არა?!

**თეიმურაზი** – უნდა მოვიფიქრო, ნუ დამაჩქარებთ.

**ნინიკა** – მაშ კარგი, მოიფიქროს.

**ილა** – მოიფიქრე, მაგრამ ე ჯაყოს თავის დაანებე, თორემა...

(და ყაყანით, მუქსრით და ქადაღით წავიდნენ)

## მესუთე ეპიზოდი

**ჯაყოს დუქნი**

**ჯაყო და თეიმურაზი**

**თეიმურაზი** – ეს არის ს...სალაროს წიგნი, ეს კიდევ ს...საქონლის დავთარია, ეგ იქნება პ...პპირადი ანგარიშების წიგნი. ამას ჰქვია ბ...ბუღალტერია.

**ჯაყო** – ვიცის, გაიგებდის ჯაყო, კარგი რამ ყოფილა ეგ ბუღალტერია.

**თეიმურაზი** – ჯაყო! ეს ქვეყანა ბუღალტერიაზე არის აშენებული. სადაც ბუღალტერია იციან, იქ ყველაფერი იციან; წესი, დის... სსციპლინა, შრომა და მომავალი. სადაც არ იციან, იქ უწესობა, ანარქია, არევ-დარევა და წყვიადი მეფობს.

**ჯაყო** – ვიცის, ჯაყომა, ვიცის, მორჩა და გაგათავე. (ჯაყომ ლოვინი, დაუახვეძული დამბახა, ხანჭალი, ძევლი საუკლესით წიგნები ჩამოუტანა თეიმურაზს) როცა მუშტარი არ ვიქნებოდე, ეს წიგნები წაიკითხავდე, არ მოგეწყინებოდეს.

**თეიმურაზი** – ლ...ლლოვინი რაღად მინდა?

**ჯაყო** – მაშ დუქანი უპატრონოდ ხომ არ დარჩები?! ეს დამბახა! თუ ყაჩალი მოხვიდე, შენ ბანზე ავიდოდე და გაისროლებდე. ჯაყოც მაშინვე აქ გაჩნდები და იმ ყაჩალებს დედას გიტირებ, მაშ, დედასა!

**თეიმურაზი** – კეთილი, მ...მმაგრამ... გიბამ ან ქეშელამ დაიძინონ დუქანში.

**ჯაყო** – გიბას და ქეშელას თავისი საქმე გაქვს, დუქნისთვის არ გცალიან. აბა, ახლა ნავაჭრი მაჩვენე.

**თეიმურაზი** – გ...გავყიდე ათი გირგანქა ნავთი. ეს ექვსი აბაზი, ორი ფუთი მარილი. ეს ორი მანეთი და თოთხმეტი შაური... გგაყიდული საქონელი აი, ამ წიგნში დაგწერე. ნავაჭრი ფული კი დღიურ კასაში ჩავიტანე, ამ წიგნში ჩაწერილია...

**ჯაყო** — შენ ფული მოგეცი ჯაყოსა და საცა გინდებოდე იქ  
ჩაწერე.

**თეიმურაზი** — კეთილი, მაგრამ ბ...ბბუღალტერია?..

**ჯაყო** — ბუღალტერია შენთვის შეინახე, მე რა ოხრად გინდა! (ფული  
ჩაივიძე) დამე ნუ წაიკითხებდი, ნავთი ტყვილად დაიწვებოდი და  
თვალებიც გეტკნებოდი. შენ ნუ შეგეშინდებოდეს, როცა ქეშელა  
ან გიბა მოიცლი, დუქანში ჩადგები, შენ კი მარგოს სანახავად  
მოხვიდოდე. საწმელი ბრინჯა მოგიტანდე. აბა, ყოჩალად იქნებოდე!  
(და თეიმურაზი მარტო დარჩა)

### მექქსე ეპიზოდი

**ივანე** — რა შენი საქმეა დახლიდარობა?

**თეიმურაზი** — რა შენი საქმეა, მმაო ივანე, შავი მუშაობა და მიწის  
ხვნა.

**ივანე** — ჩემი წინაპრები მიწის მუშები იყვნენ, ამიტომ, მეც მიწას  
დავუბრუნდი.

**თეიმურაზი** — რა გიშავს, დროზე გამოიცვალე ქურქი.

**ივანე** — ჭერამ გამიჭრა.

**თეიმურაზი** — გრიგალს გადარჩი და ცოლშვილიც გადაარჩინე,  
ბელნიერი ხარ,

**ივანე** — ძველადე უთქვამო ჭერიანებს: საცა არა სჯობს, გაცლა  
სჯობს კარგისა მამაცისგან.

**თეიმურაზი** — ხოლო რუსთაველს უპასუხნია; სჯობს სიცოცხლესა  
ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო.

**ივანე** — რატომ არ ირწმუნებ რომელიმე ღმერთს, ან ეშმაკს?

**თეიმურაზი** — ვეძებ და ვერ მიპოვნია.

**ივანე** — მაშ რას აპირებ?

**თეიმურაზი** — აღარაფერს... მე ჩ...ჩჩემი შევასრულე, მ...მმეყოფა:  
ახლა სხვებმა ზიდონ ამ ქვეყნის ტვირთი. მალე გ...გგავათავებ  
მასხრობას, ზოგნი რომ სიცოცხლეს ეძახიან. მე აღარაფერს  
ველი.

**ივანე** — თუ ესეც მართალია, შენ რაღა შევრჩა? რად შფოთავ, რად  
ჰბორგავ, მაშ, რისთვისლა წვალობ, რისთვისლა იკლავ თავს და  
სხვასაც არ ასვერებ? შეირგე ეს ქვეყანა და გაათავე!

**თეიმურაზი** — შესწორებით და დამატებით!

**ივანე** – არავითარი შესწორება, არავითარი დამატება, არავითარი გამონაკლისი! უნდა მიიღო იგი უკლებლივ, მთლიანად, უეჭვოდ, გულილიად, გულწრფელად და სიყვარულით. დიალ, გულწრფელად და სიყვარულით, თორებ ერთი წვეთი ეჭვი ისევ მოგიწამლავს სიცოცხლეს და დღევანდელივით დაგანხელებს.

**თეიმურაზი** – ივანე, ეგრე არ შეიძლება...

**ივანე** – გეუბნები, თუ რამ შეიძლება, მხოლოდ ასე შეიძლება: უკლებლად დაუმატებლად, შეუსწორებლად. შეგიძლია თუ არა ირწმუნო მეთქი ეს ქვეყანა?

**თეიმურაზი** – არ შ...შემიძლია.

**ივანე** – მაშ ისე მოკვდები, რომ მაგ შხამსა და გესლსაც საფლავში ჩაიტან.

**თეიმურაზი** – აგრე იყოს!! ზოგზე იტყიან, აღსრულდაო, ზოგზე – განისვენაო, ზოგზე – მოკვდაო. ჩემზე კი იტყვიან ჩაძალლდაო. ახია ჩვენზე, ახი! აგრე უნდა გასრესილს, აგრე! ეს ერთი და სხვა ათასი! ეს ერთი და სხვა ათასი! (პაუზა) ერთი რამ კიდევ უნდა გითხრა, ივანე, წელან დამავიწყდა.

**ივანე** – რა უნდა გეთქვა. თეიმურ?

**თეიმურაზი** – ისა რომ... ჩემი უუდიდესი და უმთავრესი უბედურება ის არის, რომ საქ... ქართველოში დავიბადე.

**ივანე** – რა? რა სთქვი?

**თეიმურაზი** – ღმერთმა თავიდანვე, სასტიკად დამსაჯა, როცა ქართველად გამაჩინა! (ივანებ ჰასუხის ნაცვლად დიდი დუში გადააფურთხა და გავიდა. თეიმურაზმა მავიდას შეძირუარა) სსაოცარია! საკირველია! ჩვენი დასაცლავება ჩ...ჩჩვენივე თვალწინ ხდება. ანდერძს გვიგებენ და ჩვენვე ვესწრებით ჩვენს ქელებს. (უცებ აუკირდა) მაგრამ მე, თეიმურაზ ხევისთავი ჯერჯერობით სიკვდილს არ ვაპირებ! გესმის? მე არ მინდა მეთქი სიკვდილი.

**ივანე** – მესმის, ნუ ყვირი.

**თეიმურაზი** – ივანე, ერთი რამ დაიხსომე სამუდამოდ: მე მომღუნეს, შეიძლება მომტეხონ, მაგრამ ვერასოდეს ვერ დამიმორჩილებენ, ვერრასოდეს! გესმის? როცა იქნება მე ჩემს ნამდვილ საოქმელს ვიტყვი, ის დრო მოვა, მოვა მეთქი?! ისე მჯერა იმ დღის მოსვლა, როგორც ხვალ დილით მზის ამოსვლა. ჯერჯერობით კი ახია ჩვენზე, ახ...ხხია! უძლური ყოველთვის ბრალიანია! აგრე გვინდა! აგრე... (ყვირილი ისტერიკაში გადადის)

**იგანე** – რა დაგემართა, შე კაი კაცო! დაჯექი. დამშვიდდი, მოდი თითო დავლიოთ, ნუ ყვირი. აპა, დალიე. პირიც მოისველე. რა დაგემართა, შე კაი კაცო?! სირცხვილია, ვაჟკაცი ხარ.

**თეიმურაზი** – არა მიშავს რა. დ... დაივიწყე. წუთიერმა სისუსტეში დამძლია. დაჯე, დავლიოთ.

**იგანე** – ბრძენი მეგონე, თურქმ შენც გცოლნია თავის მოგიუანება.

**თეიმურაზი** – არავინ იცის, რა სჭარბობს ცხოვრებაში, სიბრძნე თუ სიგიფე. მათი ზღვარი ჯერ ვერ მოუმებინა. დ...დამისხი.

**იგანე** – ჯაყოსთანა ბატონი ამ სოფელს არა ჰყოლია, არც ახლო-მახლო მოიძებნება. ერთი თვით ერთი კოდი ხორბალი ვთხოვე, ერთი ორად გადამახდევინა, ყველაფერი ხელში ჩაიგდო, ყველა ჯაყოს მოვალეა.

**თეიმურაზი** – დიდი შეძლება უნდა ჰქონდეს.

**იგანე** – ნახევარ სოფელს იყიდის, შენი ნივთუულობა ვითომ ყაჩაღებმა და ქურდებმა წაიღეს?

**თეიმურაზი** – ვიცი, ახლა აღარ მერიდება. თითქმის ყველაფერი გამოაჩინა, ამასწინად ც...ცოლი გააგდო.

**იგანე** – ერთი კი არა, სამი ცოლი გააგდო. სამივე სხვებს მოსტაცა. ახლა მეოთხეს ეძებს. ამბობენ, იშოვნა კიდეცო...

**თეიმურაზი** – არ გამიგია. ვინ არის, ვის გადაეკიდა?

**იგანე** – არ ვიცი, იკითხე აქეთ-იქით, იქნება გითხრან... ეს ღმერთმა ადლეგრძელოს... ესეც გახსოვდეს: მტერი მოყვრულად მოსული, მტერზედაც უარესია; აქმდე თავის ტოლები ჰყავდა ცოლად, ახლა მადა გაეხსნა, წარამარა გაპირის: „ჯაყომ ისეთი თავადის ქალი იშოვნა, რომა“...

**თეიმურაზი** – ვინ იშოვნა?

**იგანე** – არ ვიცი... იქნება სხვებმა იციან... გამოიკითხე.

(თეიმურაზმა წიგნი აიღო)

**თეიმურაზი** – სახარება მათესგან წიგნი მეხუთე!

„ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

ნეტარ იყვნენ მგლოვიარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშის ცემულ იქმნენ.

ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა! ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სიძართლისათვის, რამეთუ იგინი გაპირდენ.

ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.

ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფევლი ცათა“.

ღმერთო დიდებულო! ნუთუ?! ვინ? მარგომ?! ვის? ჯაყოს?... სასაცილოა, საარაკო სისულელე! მან, მარგომ, თეიმურაზი ჯაყოზე გასცვალა? ჯაყო ჯივაშვილზე! ტყიდან გამოვარდნილ ნადირზე, უგნურ პირუტყვზე, გუშინდელ მოჯამაგირეზე, რეგვენ და ბნელ ჯაყო ჯივაშვილზე. იმ ჯაყოზე, რომელიც გუშინ თეიმურაზის ნახირს დასდევდა, მუდმივ ნეხვით იყო შეთხუპნილი და ჭუჭყისაგან იყო შეჭმული! ჯაყომ არ იმყოფინა წართმეული სახლ-კარი, ბაღი და ვენახი, ეზო და ნაფუძრები და ახლა... (ნაჯახს წამოავლო ხელი) სახლი ჩაბნელებულია. მარგოს, ალბათ, სძინავს ათიოდე წლის წინათ ნაყიდ ინგლისურ საწოლზე, მარჯვნივ დიდი სარკის პირდაპირ... ღმერთო! ორივენი წელამდე შიშვლები არიან წელსქვევით ზეწარი ახურავთ. თეთრი, თლილი მარმარილოს მკლავი მარგოს ჯაყოს ბანჯგვლიან მკერდზე უდევს.

იგანე — მოჰკალ, მოჰკალ ეგ ვერაგი, ეგ არამზადა, მხეცი, საზიზდარი პირუტყვი. მოჰკალ, თეიმურაზ ხევისთვავო! კაცი კი არა, მხეცია, მხეცი! აბა, ასწიე ხელი, ასწიე და დაჰკა! დაჰკა!

თეიმურაზი — ღმერთო დიდებულო! უფალო ძლიერო! შემინდე მე შეცოდებანი ჩემნი და მომეც ბალა, რათა... რადგან... მეც ადამიანი ვარ, ადამიანი! (თავბრუ ეხვევა, ნაჯახი ხელიდან უვარდება, ჩვემა)

### ჩაბრელება

ტახტზე თეიმურაზი წევს. მარგო იქვე ჩამომჯდარა.

თეიმურაზი — (თანდათან კრძნობაზე ძლიერ, ცველაფერი ახსენდება) მარგო, ეს რა ამბავია? ეს რა დ...დდამერათა? ეს რა ...რროგორ მოხდა, რომ შენ ჯაყოზე გამცვალე?! ხმა ამოიღე!

(პაუზა) მესმის... გემნელება ლაპარაკი... მ...მმესმის, იმ მხეცმა შენზე ძალა იხმარა... რა თქმა უნდა, ძალით დაგიმორჩილა. შენც დამიმალე, რადგან შ...შშეგეშინდა ს...სირცხვილისა, არა? აგრე მოხდა ეს ამბავი? არა? (პაუზა) ახლა კი ცველაფერი მესმის... ძალიან კ...კარგად მესმის. მართალს ვამბობ, თუ არა?... პირველად ეს ამბავი მაშინ მოხდა, ტფილისიდან რომ მოდიოდით, არა?

(მარგომ სახე ჩელუებში ჩამდლა) იმ ღამეს ლევანაშენში არ ყოფილხართ... ესეც ხომ მართალია?

(მარგო სდუმში) რაკი ჯაყოს ერთი ძ...ძძალადობა შერჩა, შ... შშეგეჩვია, არა? შენ, რა თქმა უნდა, უძალიანდებოდი, იტ... ტტანჯებოდი, მაგრამ იმ მხეცს ტყვედ ჩაუგარდი, ს...სსირცხვილით ველარ გამიმუდავნე, სისხლისა გ...გგეშინოდა, რა თქმა უნდა, ასე მოხდებოდა. უეჭველად ასე მ...მმოხდებოდა, ამიტომ გაჩუმდი, არა, მართალს ვამბომ თუ არა?

მარგო — მართალია.

თეიმურაზი — მადლობა უფალსა, მადლობა უფალსა! ახლა კი ყველაფერი ცხადია. ახალვე, ახალვე წავიდეთ აქედან! ახლავე მეთქი! ყველაფერს გაპატიებ! ყველაფერს! დავიწყოთ ახალი ცხოვრება! ჯაყოს კი... არ შევარჩენ! არ შევარჩენ! არ შევარჩენ!

ჯაყო — (კარუბში დგას) ვის არ შეგარჩენ შენა? ვის არ შეგარჩენ მეთქი, ბრინჯა, ვისა?! ჯაყოს არ შეგარჩენ? ჯაყოსა?!

(ხანჯლით მიიწვევს თეიმურაზისაკენ)

მარგო — ჯაყო!... ჯაყო, დამშვიდდი!

ჯაყო — ჯაყოს არ შეგარჩენ, ჯაყოსა?! დედას გიტირებ ჯაყოი, დედასა! გაგიშვი ჯაყოი, რო ლორივით დაგქლა ეს ბრინჯაი, ესა!

მარგო — ჯაყო! გეყოფა, იქმარე!

ჯაყო — ჯაყოს მემუქრება ბრინჯაი?! რა გინდოდეს შენა? ჰა? რა გინდოდეს მეთქი? მარგო? მარგო გინდოდეს? მერე, რათ გინდოდეს? რა შენი საქმე იქნებოდეს ასეთი ცოლი? ვერ აჭმევდე და ვერ შეინახავდე! აქანდის შენთან არ იყავი მარგო? როგორ გახდი მერე? მარგო ძვალილა დავრჩი. აბა ახლა გიყურე? ამასავით ინდაურიც ვერ გასუქდები! მაშ! აგრე ვიცის კარგმა ცხოვრებამა! მორჩი! გაათავებდე! მარგო ჯაყოსია და ჯაყო აღარ მოგცემდი, აღარა! ახლა წახვიდოდე და სადაც გინდებოდე იქ გიჩივლებდე!

თეიმურაზი — მარგოს მაინც ვკითხოთ.

(პაუზა)

ჯაყო — მარგოსა? ძალიან კარგი, ვკითხოთ მარგოსა!

თეიმურაზი — მარგო, დავა შენ უნდა გადასჭრა.

ჯაყო — აბა, მარგო, ვინ გინდოდე, მე თუ ბრინჯა?

(პაუზა)

**თეიმურაზი** – მარგუში, რას გ....გაჩუმებულხარ?

**ჯაყო** – გითხარი, გითხარი ახლავე, ვინ გინდოდე, მე თუ ბრინჯაო?

**მარგო** – თავი დამანებეთ! გრცხვენოდეთ... (ვადის, მაკრაზ ჯაყო უკან შემრათრებს)

**ჯაყო** – სად წახვიდოდე?! ახალვე იტყოდე მეთქი ყველაფერი, ახლავე!

**თეიმურაზი** – მარგო, მე მივდივარ ამ სახლიდან... მოდიხარ თუ რჩები?!?

(პუშა) მარგო, მ... მმივდივარ-მეთქი, მოდიხარ თუ რჩები?

**ჯაყო** – ჯაყო ძალა არ დაგატან... თუ გინდოდე, წახვიდოდე! ეს შენა და ესეც თეიმურაზი. აბა, გაგათავე! (ძირს დაავდო მარგო)

**თეიმურაზი** – მარგო, უკანასკნელად გ...გგებითხები, მოდიხარ თუ რჩები? (ძარგო კვლავ დუშს)

**ჯაყო** – გათავებული ხარ, ბრინჯა, გათავებული! დროა აქედან წახვიდოდე, აბა ჩქარა! გაგათრიე ამ სახლიდან (თეიმურაზის ჯებს გაკრავს)

**თეიმურაზი** – მშვიდობით, მ...მარგო! მ...მშვიდობით... (ჯაყოს ჯავ) ველურო!.. ეს რა მიყავი?! პირუტყვო?! არამზადავ!

**ჯაყო** – (თეიმურაზი კისრისტებით დაავორა) ესეც შენა! არც ახლა წახვიდოდე? (თეიმურაზი ნელა წამოღვა. გონის ვერ მოვიდა წესიერად. იქვე, ახლო შეკრული შეშის ნაჟრუბი შენიშნა, სწრაფად გამოაძრო თოკი, მარყუში გააკეთა...)

## მეშვიდე ეპიზოდი

ჯაყოს ეზო

ჯაყო და ივანე

**ჯაყო** – ეს საქმე თუ გაგიკეთე ჯაყოსა, სამოცი ჩანახი პური მოგცემ.

**ივანე** – კარგი, ჯაყო, ვნახავ, ვცდი.

**ჯაყო** – კიდევ რამე უნდა გითხრამდე: თუ ნაშინდარის სკოლა გაგიკეთე, მეც ერთი ურემი და ერთი კაცი მოგცემ სამუშაოთა. მაგრამ კაპრატივი არ გინდა ჯაყოსა!

**ივანე** — ვიცი.

**ჯაყო** — კჩორტუ კაპრატივი! არ გინდა კაპრატივი ნაშინდარსა! ვიცის ჯაყომა, რათ გინდა აქ კაპრატივი. ვიცის! ხალხი ტყავი გინდა გაგაძრო, განა! ვიცის, ჯაყომა ვიცის!

**ივანე** — ჯაყო, კოოპერატივის საქმეებში მე ვერ დაგეხმარები...

**ჯაყო** — ქარგი, კაპრატივის საქმე მერე იყავი. შენ ჯერ თეიმურაზის საქმე გაგიკეთე. აბა, ხელი მომეცი. (ივანე ხულს არ ჩამოართმუვს)

## მერვე ეპიზოდი

**ივანეს** სახლი

ივანე და ნაავადმყოფარი თეიმურაზი, რომელიც ტახტზე მიწოდილა, როგორც ჩანს, დიდი ხანია საუბრობენ.

**ივანე** — მე კი ნუ გამიწყრები. ხომ იცი, სიკეთე მინდა შენთვის, თორემ შენ საქმეში როგორ ჩაგერეოდი!

**თეიმურაზი** — მჯერა, ჩემო ივანე, მ...მჯერა. სოქვი.

**ივანე** — შენ თუნდ წადი, თუნდა დარჩი. როგორც გნებავდეს, ისე მოიქეცი, მაგრამ...

**თეიმურაზი** — მაგრამ?

**ივანე** — მაგრამ მარგოს ბედი უნდა გამოარკვიო, თორემ ისევ შენი სირცხვილი იქნება, თუ ...დღევანდელივით გამოურკვეველ დღეში დასტოვე.

**თეიმურაზი** — მესმის... ვიცი... მესმის!

**ივანე** — ...რაც მოხდა, მოხდა! სირცხვილია, მარგო რომ ჯაყოს ხასად დაუსვა. შენს გვარს მაინც ნუ შეარცხვენ, გაეყარე. (პუშა) მმურად გირჩევ, მმაო თეიმურ. ჯერ აწონე და მერმე გადასჭერი.

**თეიმურაზი** — მ...მოვიფიქრებ... მოვისაზრებ. (კარუბში ჯაყო გამოჩნდა. მის ზურგს უკან მარგო დგას)

**ჯაყო** — გამარჯვება, ბრინჯა! როგორა ხარ? მადლობა ღმერთსა, რომ აგრე გადარჩებოდე.

**თეიმურაზი** — მ...მმადლობელი, ჯაყო, მადლობელი...

(მარგო თეიმურაზს გვერდით მიუკდა. ივანემ ჯაყო გარეთ გაიყვანა) მარგუში! მაშ ყველაფერი გ...გათავებულა? იმედი აღარ

არის? (მარგომ სახეზე ჩელუები აიფარა) მარგო, ჩემო მარგუში! ჩემო ერთადერთო მეგობარო!.. შენ გ...გენაცვალოს თეიმურაზი... შენი ჭირი მე ყველაფერს გაპატიებ, და... დღავივიწყებ. მე უკვე ნაპატიები და დავიწყებული მაქვს. მე არაფერი არ ვ...ვიცი, არც არაფერი მინახავს, მეტსაც გეტყვი: ყველაფერი ჩემი ბრალია, ჩემი! მარტო მე ვარ დამნაშავე, მარტო მე ვარ ბრალიანი! ახა ჩემზე, ახი!.. მაგრამ დღეს წინანდელი თეიმურაზი მ..მმოკვდა და ახალი დაიბადა. რაც მოხდა, მოხდა!.. მე არაფერი არ მახსოვს, ყველაფერი გაპატიე და დავივიწყე. მარგო! შენც მაპატიე! ხომ აპატიე შენს ძველსა და ერთადერთ მეგობარს? ჩემო ანგელოზო, ჩემო დაუვიწყარო დაო, დედავ და მეუღლევ! (დაუჩრუჭებს)

**მარგო** — ადე, ადექი ...გეყოფა...

**თეიმურაზი** — არა, არა, დაიცა! დამაცადე. ჯერ მითხარი, გამაგებინე, რას მიპირებ? თქვი, მარგუში, თქვი, ნუ მომერიდები. მე წინდაწინვე შევეჩვიე ჩემს ხვედრს.

**მარგო** — ჯერ შენ მითხარი, რას აპირებ, რა გინდა?

**თეიმურაზი** — მე?... მე რა მინდა? მე რა მინდა? შენთან ყოფნა და შენს გვერდით სიცოცხლე, მეტი არაფერი...

**მარგო** — ჩემთან ყოფნა?

**თეიმურაზი** — ნუ შეშინდი. მე მხოლოდ ის მინდა, რომ შენთან ახლოს ვიყო სადმე, რომ ზოგჯერ შორიდან მაინც დაგინახო, მეტი არაფერი.

**მარგო** — მე არ ვიცი... არ მესმის... ჩემთან როგორ უნდა იყო? არ მესმის... რათ გინდა... რათ გინდივარ?... ჯაყო რას იტყვის?! ქვეყნა რას იფიქრებს.

**თეიმურაზი** — მე შენი სულიერი ქმარი ვიქნები, არა, ქმარი კი არა, შენი სულიერი ძმა და... ერთგული მ...მეგობარი ვიქნები.. მეტს არაფერს გთხოვ...

(ჯაყო ძრუბლება)

**ჯაყო** — ვერ გაგათავებდეთ აქამდის?

**თეიმურაზი** — ნუ, ნუ შეშინდები.

**ჯაყო** — ჯაყოს ბრინჯასი არ გეშინიან!

**თეიმურაზი** — არც უნდა გეშინოდეს; მე შენთვის საშიში აღარა ვარ.

**ჯაყო** — გინდოდეს თუ არა? ჯაყო ფული მოგცემდე, ბევრი ფული მოგცემდე.

**თეიმურაზი** — ფულზე ხმა აღარ ამოიღო!

ჯაყო — მაშა, მაშა! ფული არ უნდა აიღებდე! მაშ საქმე გათავტული ხარ. ხვალვე გაეყრებოდე და საღამოს აქედან წაწვიდოდე.

თეიმურაზი — არა, ჯაყო! მე აქედან არსად არ წავალ!

ჯაყო — მაშ რას გააკეთებდე აქა? როგორ იცხოვრებდე?

თეიმურაზი — ისევ ღუქანში ვე... ვიმუშავებ... მაგრამ ერთის პირობით: მარგო ყოველდღე უნდა ვნახო! ნუ გეშმნიან, ჯაყო, ნუ გეშმინიან, ჩვენში მხოლოდ და-ძმობა იქნება, მეტ არაფერი... მარგოს გვერდით მივუკლდები, ორიოდე სიტყვას ვეტყვი... ან თუ გინდა ხმას არ ამოვილებ...

ჯაყო — მაშ ჯაყო მარგოს ქმარი იქნები, შენ კი მმა იქნებოდე, არა?

თეიმურაზი — ჰო, ჯაყო, ჰო! შენ ქმარი და მე მმა.

მარგო — ჯაყო! წავიდეთ! (გადასა)

## მეცხრე ეპიზოდი

### მარგო

მლევდელი — (დაინახავს ფეხმორთხზელ თეიმურაზს) ცოტაოდენი პატივი მაინც დასდე შენს თავს, სახელს და წარსულს. რა დაგემართა? შენი წინაპარნი რკინას სჭამდნენ, დათვებს ხანჯლით ხოცავდნენ და ყინულზე იძინებდნენ. წინ დაიხედე, ისე დგეხარ შენი მამის საფლავზე, როგორც წიწილა დევის მკერდზე!

თეიმურაზი — წიწილა! ხა! ხა!

მლევდელი — მამაშენი და შენი წინაპარნიც სულით და ხორცით ფოლადისაგან იყვნენ ჩამოსხმულნი. შენ კი გულის მაგივრად დამპალი ძონბი ჩაგიგდია, სულის მაგივრად სიმყრალე დაგიგუბებია, ხოლო ძარღვებში ცხელი სისხლის მაგივრად ჭაობის ღუბელა ჩაგისხამს. ისე დაკინდი და დაილიე, რომ ვაჟკაცობისა აღარაფერი გაცხია.

თეიმურაზი — ახია ჩემზე, ახი! (შემოდის ივანე, სურს მლევდელი დააშოშმინოს და თეიმურაზი გაიყვანოს, ვიდრე მექორწინენი შემოვლენ, მაგრამ გვიანდაა. გამოჩნდებან მარგო და ჯაყო)

ივანე — (ჩურჩულით) თეიმურაზ!

(თეიმურაზს მარგოსთან პირველი შეხვედრა აკონტება)

მარგო — გთხოვთ... ბილეთი იყიდეთ...

**თეიმურაზი** – რა ბილეთი?

**მარგო** – წარმოდგენას ვმართავთ ღარიბ ქალების სასარგებლოდ.  
უნდა თქვენც დაგვეხმაროთ.

**თეიმურაზი** – დიდი სიამოგნებით დავეხმარები თქვენისთანა... თქვენი  
გვარი და სახელი?

**მარგო** – მარგარიტა ყაფლანიშვილი განლავართ.

**თეიმურაზი** – ს...საკვირველია! ს...საოცარია!

**მარგო** – რა არის საოცარი?

**თეიმურაზი** – ჩვენ ორივენი ობლები ვართ.

**მარგო** – ამ ქვეყნად ობლები ბევრნი არიან.

**თეიმურაზი** – მართალია, მაგრამ ორივენი ჩვენი გვარის უკანასკნელი  
ჩამომავალნი ვართ.

**მარგო** – ეს კი მართლა საკვირველია.

**მღვდელი** – (ხმამაღლა) ახალავე წადი აქედან!

**თეიმურაზი** – ვაიმე, დედა!

**ივანე** – თეიმურაზ, რა დაგემართა??!

**მღვდელი** – (ხმამაღლა) ახალვე გადი ეკლესიიდან (ჯაყოს)  
გსურს თუ არა შეუდღება? (ჯაყომ ვერ გაივო) გინდა თუ არა  
მარგარიტაზე ჯვარის დაწერა?

**ჯაყო** – გინდა, მაშ!

**ივანე** – თეიმურაზ, ვერ მიცანი? ვერა მცნობ?

**მღვდელი** – ახალვე გადი ეკლესიიდან!

**თეიმურაზი** – (ხმამაღლა) რაო? წავიდე?... რად უნდა წავიდე?... მე  
ეკლესიაში არ ვლოცულობ!

**ივანე** – წირვა გათავდა!..

(თეიმურაზი მარგოს დამცინავ ძჩერას წარწერა)

**თეიმურაზი** – რას იკრიჭებით, ქალბატონო ფალუს? თქვენ რა  
უფლება გაქვთ, რომ მაგოდენა გესლს ანთხევთ, მადამ ფალუს?

**ჯაყო** – ბრინჯა!

(ჯაყომ ვერაფერი გატედა – თეიმურაზი ხალხში დგას. ჯაყომ  
მარგო სწრაფად ვაიყვანა ეკლესიიდან)

**თეიმურაზი** – კმარა, კმარა მეთქი!

**ივანე** – ნუ ყვირი!

**თეიმურაზი** – ვყვირი! რას ჩამაცივდი; ივანე? რა გინდა ჩემგან?  
საკუთარ პანაშვიდს დავესწარი! ჩემივე დასაფლავება ვნახე! ზა-  
ზა-ზა!

**ივანე — თეიმურაზ!**

**თეიმურაზი** — დამანებე თავი, ივანე! რად ჩამაცივდი? ვიცი,  
რომ ეკლესიაში პანაშვიდი კი არ არის, არამედ ჯვრისწერაა,  
ქორწილი. ჯაყო ჯიგაშვილი ჯვარს იწერს მარგო ხევისთავზე.  
ვიცი, ვიცი! მაგრამ ეს ქორწილი ჩემი პანაშვიდია, პანაშვიდი.

**ივანე — საწყალო!**

**თეიმურაზი** — (ხალხს) რაო? ვინა თქვა „საწყალიო?!”

**ივანე — წამო,** თეიმურაზ, წავიდეთ.

**თეიმურაზი** — (ხალხს) არც საწყალი ვარ და არც უბედური! მე  
სნეული ვარ, სნეული... ვარ... ვიყავი... დღემდე ვიყავი... ვაიმე  
დედა!

(და იქვე ჩაიკუცა)

**მღვდელი** — მზემ თავი ამოჰყო, მიდამო გაანათა. გაათბო და  
გააცოცხლა. დილის ნისლით შემოსილი სოფელი და კაშპაშა  
მზე ერთმანეთს უცინოდნენ. დიდი არხის წყალი ღიღინებდა,  
მოუსვენარი ლიახვი დილის ზღაპარს მღეროდა. თეიმურაზი  
მობრუნდა და გზას გაუდგა. ზურგზე პატარა ბოხჩა ეკიდა და  
ხელში ჯოხი ეჭირა.

(ივანე წერილს კითხულობს)

**ივანე — დიდი მაღლობელი დაბმარებისათვის და მასპინძლობისათვის,**  
ივანე. ისე არ მოკვდება თეიმურაზი, რომ სიკეთე ერთი ასად არ  
გადაგიხადოს. მივდივარ... არ ვიცი, როდის ან სად შეგხვდები.  
არც ის ვიცი, გნახავ ოდესმე თუ არა. ახლა მივდივარ ახალი  
ბედის საძებნელად. რაც მოხდა-მოხდა! რაც იყო — წავიდა.  
და აღარ დაბრუნდება. ღმერთმა ხელი მოგიმართოს. მშვიდობით  
იყავი, ჩემო თეიმურაზ!

## მეათე ეპიზოდი

**ივანე — „რამდენიმე თვის შემდეგ ოთხმოცი წლის მოხუცივით**  
**დაბერებული ხევისთავი იმავე ნაშინდარს მოადგა.** წელში სამად  
მოხრილიყო, დამსხვრეულ სხეულს ძლივს მოათრევდა, სქელ  
ჯოხს ყავარჯნად ხმარობდა. ქადილით წასული მებრძოლი  
ერთგული ძალივით უბრუნდებოდა სოფელს. სანამ თეიმურაზი  
ახალი ქვეყნის და ბედის ძებნაში სადღაც დაბორიალებდა, მისი  
ნასახლარის ზემო სართული სკოლად გადაეკეთებინათ, ხოლო

ქვემოთ სართულში კონპერატივი გაეხსნათ. (თეიმურაზი ჯაფოს კარძიდაძის უახლოებება)

**ჯაფო** – (დაინახავს თეიმურაზს და ვამოვარდება). ბრინჯა, მოხვიდოდე?! აბა დაჯდებოდე და მეტყოდე, აქამდე სად იხეტიალებდე და დაეთრეოდე? (პუშჩა) აკი გითხარი ჯაფომა, ნუ წახვიდოდე მეთქე! რა გინდებოდა ვითომა, რომ ფეხი დაგკარი და გაიქცი? რა მოიგე? ანდე, როგორ გახდებოდე. აკი გეტყოდე ჯაფო: ნუ წახვიდოდე, აქ დარჩებოდე, ღუქანს მოუვლიდე და ბუღალტერიასაც გააკეთებდე, თორება უყვლანი გატყუებდე ქეშელასა. საწყალი ჯაფო! ძალიან ბევრი წაგე. დუქანი დაკეტე ჯაფომა. იმ სიშორეზე ხალხი აღარ მიდისარ. შენს სახლში ახლა კაპრატივი გახსენი მთავრობამა, გინდა ტყავი გააძრობდე ხალხსა. ეგენი კი იძახოდე: ხალხი იაფი საქონელი უნდა მოგცეო. მამა გიცხონდა. ვითომ არ ვიცის ჯაფომა, როგორ უნდა მოატყუებდე ხალხი?!?

**თეიმურაზი** – აი, დაებრუნდი...

**ჯაფო** – ახლა ჯაფოს სახლი აღარა გაქვს. სახლიც წაგართვეს, ავეჯიც და ყველაფერიც... ოქროც, ვერცხლიც, სარკეც, სხალ-ხანჯალიც და ყველაფერიც. სახლი წაგართვეს და სკოლა გაგიკეთეს. რა ოხრად გინდა ჯაფოს სკოლაი? თუ ჯაფოს განათლება არა გაქვს, კარგი ბიწი ვერა ხარ, რაღა! ბრინჯა, იცი რა გითხრამდე? მოდი, ის სახლი შენ წაიღებდე. ღმერთმანი, მთავრობა ისევ მოგცემდე ეს სახლი.

**თეიმურაზი** – არ მომცემენ, ჯაფო.

**ჯაფო** – მოგცემენ-მეთქე! ისევ ერთად იცხოვროთ მე და შენა. შენ მარგოს ძმა ვიქნები. მე კი ქმარი. ასე არ გინდოდეს წინადა?

**თეიმურაზი** – ჰო, მაგრამ... სახლს არ მომცემენ, ჯაფო.

**ჯაფო** – მოგცემენ-მეთქე! ბრინჯა, მოდი შევრიგდეთ. რაც მოხდა, მოხდა! ჯაფო ჯავროანი კაცი არა ხარ.

**თეიმურაზი** – რა თქმა უნდა.

**ჯაფო** – ღმერთმანი, ჯაფომ ყველაფერი დაივიწყე. შენ ისევ ღუქანში ივაჭრებდე, ჯამაგირიც მოგცემდე. თვეში ხუთი მანეთი ხომ გეყოფოდეს?

**თეიმურაზი** – მეყოფა, კარგად მეყოფა.

(უცებ ბავშვის ტირილი გაისძა)

**ჯაფო** – მართლა, ბრინჯა, აბა ერთი ნახავდე პატარა ჯაფოსა! ეს ერთი და სხვა ათასი! მაშ, მაშა! (თეიმურაზი ისე მისჩერებია ბავშვთან მარვოს, რომ ჯაფო გადის).

თეიმურაზი — ავად ხომ არა ხარ, მარგო?

მარგო — არა.

თეიმურაზი — მაშ რად გახდი ეგრე? ხომ კარგადა ხარ? (პუშტა)  
მარგო, რატომ პასუხს არ მაძლევ? ისეთი რა დავაშავე, რომ  
ორი სიტყვაც არ მაღირსე?

მარგო — იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ მართლა ღირსი არა ხარ!  
შენზე ცუდმედიდი სატანაც არ იქნება... შენის თავმდაბლობით  
შენ თავიც დაღუპე და მეც გამაუბედურე...

თეიმურაზი — შენ გაგუბედურე? მე? მე? როგორ? რით?

მარგო — ოჰ, თეიმურ! ეს რა მიყავი? რა დღეში ჩამაგდე! ღმერთმა  
ჩემი ცოდვა შენ დაგაკისროს!

თეიმურაზი — მარგო, მარგუში, გ...გამაგებინე... არაფერი მესმის...

მარგო — ვერც გაიგებ! ვერასოდეს ვერ გაიგებ! ახლა კი წადი აქედან...  
ახლავე წადი! წადი და აღარ დაბრუნდე, აღარ დამენახო... აღარ  
დამენახო... არასოდეს...

(ვადის)

თეიმურაზი — (ყოყმანობს), მიაძიხებს, მაშ... მშვიდობით... მარგო...

(მიდის, კარში თავს შემოუფეს და მერე შემოდის ჯაყო)

ჯაყო — ბრინჯა, იცი რას გითხრამ? შენ რომ მოკვდებოდე, ხევისთავის  
გვარიც აღარ იქნებოდეს. მოდი, საქმე ისე გაიკეთებდე, რომ ამ  
პატარა ჯაყოსა ხევისთავი დაგარქმევდე, ჰა, რას იტყოდე? ჰა,  
რას იტყოდე, ხევისთავი დაგარქვათ. თუ არას პატარა ჯაყოსა?  
სად წახვიდოდე, ბრინჯა? (თეიმურაზის არაფერი ესმის. გარეთ  
გამოდის, ორდობეს აუყვება. წინ ნინიკა აუტუჭა, ივანეც იქვეა,  
კადევ რაძიფნიძე გლოები).

ივანე — ოჰ, თეიმურაზ, შენა ხარ? მშვიდობაში შენი დაბრუნება?!

თეიმურაზი — ნუ დამცინი, ივანე!

ივანე — აბაიმე! რა გაქვს სასაცილო, შე კაი გაცო?

თეიმურაზი — დასაცინი ისა მაქვს, რომ დავბრუნდი.

ივანე — ძალიან კარგი ქენი, რომ დაბრუნდი.

ნინიკა — ხომ გაიგე, რომ სკოლა გავხსენით და კოოპერატივიც  
დავაარსეთ. მხარში მოგვიდექ და იმუშავე.

თეიმურაზი — რა ჩემი საქმეა სკოლა და დახლი.

ილა — თუ ჯაყოს ჩაუდექი დუქენში, რატომ კოოპერატივში არ  
გინდა მუშაობა?

ნინიკა — ისევ ჯაყოსთან გირჩევნია დაბრუნება?

**თეიმურაზი** – ღმერთმა დამიფაროს! ღმერთმა დ...დდამიფაროს...

**ივანე** – არც მესამე გზა მოსჩანს, მაშასადამე...

**თეიმურაზი** – მაშასადამე?

**ნინიკა** – ან მასწავლებლობა, ან კოოპერატივი! რომელი გინდა?

(პაუზა)

რომელი გინდა?

**თეიმურაზი** – კოოპერატივი.

**ივანე** – მადლობა უფალსა!

**ნინიკა** – მოიტა ხელი... ალბათ, ისევ შენს ნასახლარში, შენ წინანდელ ოთახს დაგიბრუნებთ, იქნება შენი ავეჯიც ჩაგაბაროთ.

**თეიმურაზი** – ავეჯი? ჯაყოს აღარ ეგითხებით?

**ნინიკა** – ჯაყოს დრო წავიდა!

**ილა** – რაც შენ გეპუთვნოდა, ერთი ნივთიც არ გავატანეთ.

**ივანე** – ზოგი ავეჯი სოფლის საბჭოს მისცეს, ზოგი სკოლას და ზოგიც მასწავლებელს.

**თეიმურაზი** – (ჯაყოს ძოჯვრა თჯალი, რომელიც მათ შორიდან უთვალითვალებს) მართალია მეთევზე, რომელმაც მღვრიე წყლით ისარგებლა. ბრალიანი არც მგელია, რომელიც უპატრონო ბატყანის წამწყდა. კისერიც მოუტეხიათ თევზებსაც და ცხვრებსაც. ქვეყნას იმათვის არა სცალიან. ის თავისთვის ტრიალებს და შეჰქმულ ბატკნებს და თევზებს არც კი ამჩნევს. მაგრამ კიდევ არის ვიღაც ამ ქვეყნად ღმერთის გარდა. ის „ვიღაცა“ ურმით დასდევს ფეხმარდ მგლებს...

**ნინიკა** – ურმითა?

**თეიმურაზი** – ჰო, ურმით დასდევს. ბოლოს, რაც უნდა მარდად ირბინოს მგელმა, სადაც უნდა გადაიკარგოს, ურმით მდევარი ვიღაც იმ მგელს მაინც დაეწევა და კბილებს დაგლეჯს. ასეა მომართული ეს ქვეყნა!

**ფარზა**